პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაკრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-8 სართული
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 21 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ზნლის მიწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—50 ათ. მ. წონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 54 პარასკევი, 9 მარტი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000 მან. № 54

დღიური

ოსმალეთში: ეკონომიური კონგრესის დახურვა, ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების კონტრპროექტი.

საბერძნეთში: მზადება ომისთვის, ჯარების კონცენტრაცია.

რურის ოკუპაცია: საფრანგეთის ჯარების წინსვლა, ბლოკადის გაძლიერება, დაპატიმრებანი და გადასახლებანი მიულჰაიმიდან, რეინლანდის მოხელეების გადასახლება, გადასახადი ნახშირზე.

პრესა კუნოს სიტყვის შესახებ.

გერმანიაში: მონარქისტების შეთქმულების აღმოჩენა, ფაშისტები მიუნხენში.

საქ. კომუნისტურ პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს 9 მარტს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასმათ საკითხები:

1. თებერვლის რევოლიუციის 6 წლის თავი.
2. რუსეთის კომუნისტურ პარტიის 25 წლის თავი.

მდივნის მაგ. რუბენი.

რურის გარშემო

6 მარტს კანცლერ-კუნომ მოიწვია საგანგებოდ გერმანიის რეიხსტაგი. აქ მან გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნა ოკუპაციის უმთავრესი ფაქტები, ოკუპანტების მიერ ჩადენილი ძალადობა და უმზგავსება; ის ულრმესი აღშფოთება, რომელსაც იწვევს ფრანგ მძარცველების მოქმედება მთელი გერმანიის ხალხში; ამასთან კუნომ ხაზი გაუსვა, რომ გერმანია წინააღმდეგობას გაუწევს საფრანგეთს ბოლომდე, სანამ სამხედრო დიქტატურა არ გათავდება და არ იქნება გამომუშავებული პატიოსანი შეთანხმება. ისე კი გერმანიის მთავრობა, კუნოს სიტყვით, წინანდებურად მზად არის პირნათლად შეასრულოს სარეპარაციო ვალდებულებანი.

რეიხსტაგმა კუნოს ნდობა გამოუცხადა, პროტესტი გამოსთქვა ოკუპანტების ძალადობის წინააღმდეგ და დაადგინა გაუწიოს მათ წინააღმდეგობა უკანასკნელ შესაძლებლობამდე.

მართალია ის, რომ გერმანიის ხალხი აღშფოთებულია საფრანგეთის მტაცებლური პოლიტიკით, რომლის მიზანია გერმანიის საბოლოო განადგურება. მაგრამ ისიც უდავო ფაქტია, რომ გერმანიის მშრომელი რევოლიუციონური მასსა არა ნაკლებ აღშფოთებულია თვით კუნოს მთავრობის პოლიტიკით, რომელმაც ვერ შესძლო ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია, პოლიტიკით, რომლის წყალობით ვერსალის „ზავის“ და ეხლა რურის ოკუპაციის მთელი სიმძიმე აწვება მხრებზე მუშათა კლასს და საერთოდ მშრომელ მასსებს, რომლებიც წელში არიან მოზნექილი და სულს ღაფავენ აუტანელ გაჭირვებათა გამო.

სტინნესის მიერ დაყენებულ მთავრობას ეშინია აქტიური ბრძოლის წამოწყებისა საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან ის წინასწარ გრძნობს, მან იცის, რომ ომის პროცესში მუშათა კლასი სამარეს უთხრის დღეს ჯერ კიდევ გაბატონებულ ბურჟუაზიას და ძალა-უფლებას ხელთ იგდებს. კუნოს მთავრობა დაკმაყოფილდება პასიური წინააღმდეგობით, რომლის მიზანია გერმანიის მრეწველებისათვის შედარებით შეღავათიან პირობების მიღწევა საფრანგეთსა და გერმანიას შორის მოსალოდნელ მოლაპარაკების დროს.

ხმები მოლ-პარაკების შესაძლებლობის შესახებ გავრცელებულია, და არ არის სავსებით ნიადაგს მოკლებული. მიუხედავად ოფიციალური განცხადების, წინააღმდეგობის ბოლომდე გაწევის შესახებ, გერმანიის მთავრობა, ჩვენ ვფიქრობთ, სინჯავს ნიადაგს საკითხის ასე თუ ისე კომპრომისულ გადაწყვეტისათვის. გუშინდელი ცნობით, კუნო თანახმაა შეუდგეს მოლაპარაკებას, თუ საფრანგეთი მისცემს გერმანიას საკმაო გარანტიებს რურის ოკუპაციის შესახებ. ამასვე იმეორებს კუნო თავის დეკლარაციაში, როცა ლაპარაკობს „პატიოსანი შეთანხმებაზე“. როგორც რადიო იუწყება, რურის მრეწველებიც გამოსთქვამენ სურვილს მოლაპარაკების დაწყების შესახებ; მათ ეშინიათ ოკუპაციის პროცესში თავიანთი მრეწველობის და სიმდიდრის განადგურების.

ამნაირად, აშკარავდება მათი „პატრიოტიზმის“ ნამდვილი შინაარსი.

მეორე მხრივ, საფრანგეთშიც იწყება მოძრაობა გერმანიასთან კომპრომისული შეთანხმების სასარგებლოდ. საფრანგეთის მსხვილი მრეწველების ორგანო „ჟურნალ ინდუსტრიელ“ აგრძელებს რურის ავანტიურის სალიკვიდაციო კამპანიას.

ამას აიძულებს საფრანგეთის ბურჟუაზიას აჩრდილი მსოფლიო რევოლიუციის, შემდეგ საფრანგეთის იზოლიაცია ამ ავანტიურაში, კერძოდ ინგლისის პოზიცია; ბოლოს მას ეხლა უკვე შესაძლებლად მიაჩნია ხელსაყრელ შეთანხმების დადება გერმანიის მრეწველებთან.

ჯერ ჯერობით დანამდვილებით ძნელია იმის თქმა, თუ რა მსვლელობას მიიღებენ რურის ამბები. მოხდება კონფლიქტის კომპრომისული მოგვარება, თუ ის უფრო გაფართოვდება და მსოფლიო ომად იქცევა.

თუ პირველი შესაძლებლობა გამართლდა, ეს კომპრომისი იქნება ხან მოკლე, რამდენათაც არ არი მოსპობილი კონფლიქტის გამომწვევი ძირითადი მიზეზები, სანამ არ არი გაბათილებული ვერსალის ხელშეკრულება, სანამ არ არის დამხობილი მთელი კაპიტალისტური რეჟიმი.

რურის ავანტიურამ ერთხელ კიდევ ნათელ ჰყო, რომ ბურჟუაზიულ წყობილების პირობებში შეუძლებელია ხალხთა შორის ნამდვილი მშვიდობიანობის არსებობა, ეს წყობილება ატარებს მუდმივი ომების და სისხლის ღვრის შესაძლებლობას.

ამასთან რურის ავანტიურამ ზედმეტ-ჯერ მისცა პროლეტარიატს კიდევ ერთი საგნობრივი გაკვეთილი. ჩვენ ვლაპარაკობთ ყვითელ სოციალისტების გამცემლობაზე. ისინი, როგორც ყოველთვის, კრიტიკულ მომენტში, ეხლაც აღმოჩნდნენ ბურჟუაზიის აგენტები. როგორც მოსალოდნელი იყო, მათი მჭეირალა სიტყვები ომის წინააღმდეგ მსოფლიო გაფიცვის მოწყობის და საერთოდ გადაჭრილი ზომების მიღების შესახებ უბრალო თვალთმაქცობა აღმოჩნდა, მუშათა გულუბრყვილო ნაწილის მოსატყუებლად.

რურის მაგალითზე დაუნდობელი მხილება ამ ვაჟბატონების შეადგენს კომუნისტური პარტიების მნიშვნელოვან ამოცანას.

და უნდა აღინიშნოს, რომ პროლეტარიატი, რურის ამბებთან დაკავშირებით, თანდათან ფხიზლდება და თავს იყრის ჩვენი პარტიების გარშემო. ის ცდილობს ერთიანი ფრონტი შექმნას როგორც ბურჟუაზიის, ისე მის მოკავშირე შემთანხმებელ სოციალისტების წინააღმდეგ. და ის ნებას არ მისცემს ავანტიურაში გადავარდნილ ხროვას ისევ დაატეხოს კაცობრიობას ახალი უბედურება.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება და მისი მორიგი ამოცანები

ამ წლის 14 იანვარს მოხდა საქ. წ. ჯ. საზოგადოების ძველი გამგეობის განახლება; ამ დღიდან ჩაეყარა საქართველო წითელი ჯვრის ახალ ორგანიზაციას, მის მჭიდროთ დაკავშირებას მშრომელთა მასსასთან როგორც საზოგადოების, ისე მის აღმასრულებელ ორგანოს წევრთა შემადგენლობით. ამ დღიდან წითელი ჯვრის ბატონ პატრონათ გახდა თვით მშრომელი მასსა და მისი იდეიური წარმომადგენლები. ცხადია, რომ წითელ ჯვრის ძირითადი გარდაქმნა უნდა გამოიხატოს თვით მის საქმიანობაში. ეხლანდელმა წითელ ჯვრის ბატონ პატრონმა უნდა ნათლათ დაამტკიცოს, რომ მისი საქმიანობა მიმართულია მხოლოდ მშრომელთა ინტერესების დასაცავათ, მათი მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მათ სასარგებლოთ. რომ ეს ასე მოხდეს, საჭიროა თვით მშრომელთა მასსა დაინტერესდეს წითელი ჯვრის საქმიანობით, თვით ჩაებას მის მუშაობაში და მხარი დაუჭიროს მის მიერ არჩეულ აღმასრულებელ ორგანოს. მიზანი ამ და მთელი რიგი წერილებისა, რომელსაც ჩვენ მოვათავსებთ პრესაში წითელი ჯვრის საქმიანობის შესახებ, არის მჭიდრო კავშირის დაჭერა მშრომელ მასსასთან, რომელიც ვალდებულია დადებითი მხარეები ჩვენი საქმიანობისა დაადასტუროს, ხოლო უარყოფითი გააკრიტიკოს და ნაკლის თავიდან ასაცილებლად სათანადო რჩევა მოგვცეს.

14 იანვრის საერთო კრებაზედ ძველი გამგეობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშიდან ნათლათ სჩანს, რომ მის მთელი ორი წლის განმავლობაში, დღიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, არაფერი ან თითქმის არაფერი გაუკეთებია. სარევიზიო კომისია თვით აღიარებს ამას თავის მოხსენებაში, მაგრამ გამგეობის დანაშაულობის შესამსუბუქებლათ მის ნივთიერი უსახსრობაზედ მიუთითებს.

კრებაზედ ნათლად გამოირკვა, რომ თვით ეს უსახსრობა და თითქო მარტო ამისგან წარმოშობილი უმოქმედობა იყო შედეგი იმ გარემოებისა, რომ ძველი გამგეობა სრულიად მოწყვეტილი იყო საქართველოს მშრომელ მასსებს, რომ ის გაურბოდა კავშირს როგორც ამ მასსებთან, ისე რესპუბლიკის ხელისუფლებასთან, არსებობდა თავისთვის, განცალკევებული სახელმწიფოს ცოცხალი ძალებისაგან. ხოლო ჩვენს დროში, როდესაც ხდება უდიდესი ისტორიული გარდაქმნა, როდესაც მშრომელთა მასსა სჭედს თავის ბატონობას, ნაყოფიერი მოქმედება გარეშე ამ მასსისა შეუძლებელია; ყოველი საქმე, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი, კეთდება მხოლოთ ამ მშრომელთა აქტიურ მონაწილეობით და გარეშე ამ მონაწილეობისა ყოველივე დაწყებულება ჩანასახშივე ჩაკვდება.

აი სწორეთ დღევანდელი დროის ეს აქსიომა ვერ შეიგნო ძველმა გამგეობამ, ან არ მოისურვა მან შეეგნო ეს. ამისათვის მისი საქმიანობაც არაფრით განიზომება, რადგან ოდნავადაც ვერ შესძლო განხორციელებინა წითელი ჯვრის მიერ დასახული მიზნები.

ამ გვარათ წითელი ჯვრის ძველი გამგეობის მოღვაწეობა სრულიათ უნაყოფო გამოდგა. ამ მოღვაწეობამ, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ უმოქმედობამ წ. ჯვრის საზოგადოება დაღუპვის კარამდე მიიყვანა, და თუ ის არ გარდაქმნილიყო ახალ საფუძველზედ, მას უეჭველათ მოკლე ხანში სიკვდილი მოელოდა; ახალი ც. კ. უნდა გააჯანსაღოს სასიკვდილოთ დაავადებული ძველი წითელი ჯვრის საზოგადოება და ამას იგი შესძლებს იმ შემთხვევაში, თუ ენერგიულათ და მტკიცეთ შეუდგება მისი მიზნების განხორციელებას.

როგორია ეს მიზნები?

თანახმათ წესდებისა წ. ჯ. საზოგადოების უმთავრეს მიზანს შეადგენს დაეხმაროს სამხედრო საექიმო ნაწილს დაჭრილთა და ავადმყოფ მეომართა მოვლაში, როგორც საგარეო, ისე სამოქალაქო ომის დროს. მშვიდობიანობის ხანაში ის მიზნათ ისახავს გაუწიოს დახმარება ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთ, სხვა და სხვა სახალხო უბედურების დროს დაშავებულ-დაზარალებულთ, აღმოუჩინოს საექიმო დახმარება ხალხს სხვა და სხვა გადამდებ სენის მძვინვარების შემთხვევაში და აწარმოვოს ბრძოლა სოციალურ ხასიათის სენის წინააღმდეგ როგორიც არის ჰლექი, მალიარია და სხვა.

აღნიშნულ მიზნის განსახორციელებლათ საჭიროა ომიანობის დროისათვის დამზადების განსაზღვრული რაოდენობა წამლეულობის, შესახვევ მასალის, სურსათ სანოვაგისა და ტანსაცმელ-თეთრეულობისა. საჭიროა შექმნა ისეთი სამედიცინო პერსონალისა, რომელიც საჭიროების დროს მზათ იქნება შეასრულოს თავისი მოვალეობა დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა მოვლის საქმეში.

მშვიდობიანობის დროს კი წ. ჯ. საზოგადოება ვალდებულია ცალკე მომარაგებული ჰქონდეს განსაზღვრული რაოდენობა სანოვაგის, ტანსაცმელ-საცვლების, წამლეულობის, შესახვევ და სადეზინფექციო მასალის, როგორც სახალხო უბედურების დროს დახმარების აღმოსაჩენათ, ისე გადამდებ სენთა წინააღმდეგ საბრძოლველათ. ხოლო სოციალურ ხასიათის სენთან საბრძოლველათ, როგორიც არის ჰლექი და მალიარია—საჭიროა სათანადო საექიმო დაწესებულებათა შექმნა და მათი უზრუნველყოფა როგორც წამლეულობით, ისე მომზადებული საექიმო პერსონალით.

როგორც ნათქვამიდან სჩანს წ. ჯ. საზოგადოებას ფრიად რთული და მძიმე მოვალეობა აქვს დაკისრებული; ამ მოვალეობის პირნათლად შესრულება მოითხოვს არა მარტო ენერგიულ და დაუღალავ მუშაობას ამ საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტის მხრივ, არამედ სათანადო გეგმის გამომუშავებას, სათანადო ორგანიზაციის შექმნას და განსაზღვრულ ნივთიერ სახსარის გამოძებნას. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის ქონება, რომელიც მემკვიდრეობით გადმოვიდა ახალი ც-კს გამგებლობაში, და რომლის ჩაბარებასაც იგი უკვე შეუდგა, ვერ დააკმაყოფილებს წ. ჯ. მოთხოვნილებების მცირე ნაწილსაც. ახალმა ც-კამ თითონ უნდა მიიღოს საჭირო ზომები ამ მიმართულებით. იგივე ენერგიული ხელახალი საქმიანობა დასჭირდება ახალ ც-კას, როგორც გეგმის დასამუშავებლად, ისე სათანადო აპარატის შესაქმნელად. ის, რაც იყო —ან იყო უვარგისი დღევანდელი წ. ჯ. მიზნების განსახორციელებლად, ან არ იყო საკმარისი. დღიდან თავისი არჩევისა ახალი ც-კა შეუდგა საორგანიზაციო მუშაობას და ეხლა ეს მუშაობა თითქმის დამთავრებულათ უნდა ჩაითვალოს.

როგორი იყო ეს საორგანიზაციო მუშაობა და რაში გამოიხატა იგი— ამაზედ შემდეგ წერილში.

პ. კიკალიშვილი.

განათლების მუშაკნი და საბჭოთა აღმშენებლობა

ამას წინეთ დამთავრებულ განათლების მუშაკთა ყრილობას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს გასაბჭოების დასაწყისში იყო მასწავლებელთა უმნიშვნელო ჯგუფი, რომელიც ვერ ურიგდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას.

ყრილობამ თავისი ფხიზელი და საქმიანი მუშაობით ნათლად დაგვანახვა, რომ მასწავლებელთა მასსას გათვალისწინებული აქვს პროლეტარულ რევოლიუციის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა და, რომ შეგნებულად მიდის მთლიან შრომის სკოლისაკენ, მუშაობს საბჭოთა ხელისუფლების გასამტკიცებლათ. ყრილობა თავისი ფხიზელი კრიტიკით სრულიად სამართლიანათ აღნიშნავდა კავშირისა და სახ. გან. კომისარიატის მუშაობის სავსებით გასაგებ დეფექტებს.

ასე მაგალითად, მიუთითებდა ცენტრის სუსტ კავშირზე ადგილებთან, ზოგ მიყრუებულ მაზრებში პროფესიონალურ მუშაობის სისუსტეზე, მძიმე ფინანსიურ მდგომარეობაზე, ჯამაგირების რამდენიმე თვით დაგვიანებით მიღებაზე და სხვ.

ერთმა უპარტიო დელეგატმა აღნიშნა, რომ სახ. გან. კომისარიატის მუშაობა „კაბინეტურ ხასიათს“ ატარებდა, რომ ფართო მასწავლებლობამ ვერ მოასწრო დაკავშირებოდა მას.

სკოლები და განსაკუთრებით ტეხნიკუმები, ვერ არიან საკმაოდ დაკავშირებულნი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასთან. ბავშვთა მეორე თაობა გამოდის სკოლებიდან ინდივიდუალისტურად განწყობილი და პრაქტიკულ ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებული.

მაგრამ კრიტიკასთან ერთად ყრილობამ აღნიშნა ის დიდი მუშაობა, რომელსაც კავშირი და სახ. გან. კომისარიატი აწარმოებდა; მასწავლებლობას კმაყოფილებით შეუძლია აღნიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დააფასა მისი დაუღალავი მუშაობა.

სახ. გან. კომისარიატის ნივთიერი მდგომარეობა მტკიცდება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის არსებობა დაბეჯითებითა და მჭევრმეტყველებით მოწმობს, რომ ეს ხელისუფლება დიდ შესაძლებლობას და სიძლიერეს შეიცავს.

თუ დასაწყისში პროლეტარიატი აწარმოებდა ბრძოლას თავისი ფიზიკური არსებობისათვის, ახლა კი დღის წესრიგში დადგა საკითხი კულტურულ აღმშენებლობისა. პარტიისა და საბჭოთა ორგანოების ყურადღება მიპყრობილია განათლების საკითხებისაკენ, ხალხის შეგნების მობილიზაცია უკვე მომხდარია.

ყრილობის მოღვაწეობას ანგარიში უნდა გაეწიოს. თუ აქამდის სახ. გან. კომისარიატი, კავშირი, მეტ ყურადღებას ნივთიერი მდგომარეობის განმტკიცებას, ორგანიზაციულ და ადმინისტრატიულ საკითხებს აქცევდენ, ახლა მორიგი ამოცანაა „გაღრმავება და განმტკიცება მეთოდიკის და იდეიურ-პოლიტიკური მუშაობისა“.

განათლების მუშაკთა ფართო წრეები ჩათრეულ უნდა იქნან კომისარიატის მუშაობაში, რომ მათი კოლექტიურ შემოქმედებით გამოცდილება გამოყენებულ იქნას. სკოლა არ უნდა იყოს დაშორებული საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას, რომელსაც ის ცხოვრებაში ატარებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი უნდა ერკვეოდეს საზოგადოებრივ საკითხებში. განმანათლებლები უნდა შეეჩვიონ მარქსისტულ მეთოდის გამოყენებას. მათ შორის გაძლიერებულ უნდა იქნას პოლიტიკური მუშაობა მარქსისტულ და პოლიტიკურ წრეების საშუალებით. მასწავლებლობის როლი საბჭოთა აღმშენებლობაში მეტად დიდია. სკოლის მეოხებით გვაძლევენ ჩვენ მასწავლებლები იმ ხალხს, რომელიც ჩვენთვის საჭიროა პოლიტიკურ მუშაობის საწარმოვებლად. თუ სოფლის მასწავლებელი არ იქნება ჩვენი იდეების აქტიური გამტარებელი, მაშინ უნაყოფო იქნება ლაპარაკი სოფლის კულტურაზე და მისი კომუნიზმის დონემდე ამაღლებაზე.

ტყუილა კი არ იყო ყრილობაზე, განსაკუთრებულად წამოყენებული დებულება იმის შესახებ რომ განმანათლებელნი ჩაყენებული იყვენ ნორმალურ პირობებში, რომ რათა ამით ხელი შეეწყოთ მათ სულიერ ამაღლებას და ყოველმხრივ მომზადებას.

განსაკუთრებული ყურადღება ახალი კადრის შექმნას უნდა მიექცეს. პედაგოგიური ტეხნიკუმები, ინსტიტუტები უნდა იძლეოდეს ახალ სკოლის კომუნისტურ სულით გამსჭვალულ განათლების მუშაკებს. პრაქტიკულ მუშაკთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხელახლა მომზადებას, თვითმოქმედებას თვითგანვითარების სფეროში და საჭირო ცოდნის მიღებას. ტფილისის განათლების მუშაკების სახლის გაცხოველებული მოღვაწეობა ამისი ცოცხალი მოწმეა.

სასურველია ამისდაგვარად იქნეს მოწყობილი მასწავლებელთა თვითგანვითარების წრეები, ყრილობების მოწყობა, კურსები, მაზრის მოკლე ვადიანი კურსები და სხვ. სახ. გან. კომისარიატი უნდა აგზავნიდეს ადგილებზე პროგრამებს, მეთოდურ სახელმძღვანელოებს, მომხსენებლებს და სხვ. სამაზრო წიგნთსაცავს უნდა ჰქონდეს სპეციალური პედაგოგიური განყოფილება.

სამწუხაროდ ჩვენ აქამდინაც არა გვაქვს პედაგოგიური ორგანო. მხოლოდ კარგა დაყენებულ პედაგოგიურ ჟურნალს სახელმძღვანელო სტატიებით, საჩვენებელ დაწესებულებებში წარმოებულ ცდების აღწერით, ფართო პედაგოგიურ წრეების მონაწილეობით, შეუძლია შექმნას აზრთა დიდი გაცვლა-გამოცვლა და ერთად შეკრას მიყრუებულ მაზრებში დაფანტული განმანათლებელნი.

ერთი სიტყვით, კავშირისა და სახ. გან. კომისარიატის წინაშე სდგას დიდი ამოცანები, რომელნიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვენ. ამ მუშაობაში თამამად შეიძლება დავეყრდნოთ მასწავლებელთა მასსას.

ყრილობა ჩატარდა განათლების საფუძვლის განმტკიცების ნიშან ქვეშ.

ქართველი მუშა და გლეხი და მათი დამხმარე განმანათლებელნი განამტკიცებენ ახალ ცხოვრებას.

გ. ხაჭაპურიძე.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

მადა აღძრათ.

მოსკოვი. 8 მარტი. **ინგლისის დიპლომატიურ წრეებში ვრცელდება შეუმოწმებელი ხმები, რომ საფრანგეთის განზრახული აქვს დაიკავოს ჰამბურგი, ბრემენი, ემდენი და ფრანკფურტი და პოლონეთის დახმარებით მოახდინოს ბლოკადა ბალტიის ნავთსადგურების აღმოსავლეთის საზღვარზე.**

რურის და რეინლანდის დამოუნებით შემოსაზღვრა.

პარიზი. 8 მარტი. დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ საოკუპაციო ხელისუფლებებმა შექმნეს სადამოჟნო პოსტების მთელი რიგი, რომლებიც აკავშირებენ რურის სადამოჟნო შემოფარგვლას რეინლანდის ასეთივე სისტემასთან, შეიტანონ რა ამრიგად ახალი დამატება სადამოჟნო კორდონში.

დაპატიმრებანი და გადასახლება მიულჰაიმიდან.

ბერლინი. 8 მარტი. მიულჰაიმში 6 მარტს ფრანგები, სხვა და სხვა სამხედრო ნაწილების დახმარებით, თავს დაესხნენ გერმანიის პოლიციას, დააპატიმრეს ყველა პოლიციელები და გადაასახლეს ისინი ესსენში.

რეინლანდიდან მოხელეების გადასახლება.

რომი. 8 მარტი. ჯერჯერობით რეინლანდიდან გადასახლებულია 752 მოხელე.

საალყო წესები.

პარიზი. 8 მარტი. „პტი-პარიზიენის“ ცნობით ლიუდვიგსჰაფენში გამოცხადებულია საალყო წესები. დაპატიმრებულია სასამართლოს თავმჯდომარე ობეროგეიმი.

აძლიერებენ ბლოკადას.

ლონდონი. 8 მარტი. „დეილი მეილის“ დიუსელდორფელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ფრანგებმა, ბლოკადის გაძლიერების მიზნით, დააბანაკეს თავისი ჯარი ბრიტანეთ-კელნის ზონასა და გერმანიის შორის მდებარე ხაზზე. კორესპონდენტის სიტყვებით, ამ ჟამათ უკვე გავლებულია ერთიანი ზღუდე გერმანიისა და ჰოლანდია-შვეიცარიის შორის.

გადასახადი ნახშირზე.

ბერლინი. 8 მარტი. გენერალ დეგუტმა გასცა ბრძანება, რომლის თანახმად გადასახადი ნახშირზე შეტანილ უნდა იქნას ყოველი თვის 15 რიცხვამდე. თუ დანიშნულ დროისათვის გადასახადი არ იქნა შეტანილი დამნაშავის ქონებას დაედება სეკვესტრი გადასახადის რაოდენობით და დაჯარიმებულ იქნება ის 50 პროც. თუ კი 26 რიცხვამდე არ იქნა შეტანილი ჯარიმა და გადასახადი დამნაშავე გადაეცემა სასამართლოს.

მალავენ კვალს.

ბერლინი. 8 მარტი. ბოხუმიდან იტყობინებიან, რომ ფრანგებმა მოსპეს ბოხუმის სავაჭრო პალატის დანგრევის ყველა ნიშნები. თავის ადგილზე დააწყვეს სახლის მთელი მოწყობილობა და სხვა საგნები. ამ „აღდგენის“ შემდეგ გადაიღეს პალატის ფოტოგრაფიული სურათები.

ფრანგების ახალი წინსვლა.

მოსკოვი. 8 მარტი. რურის ოლქიდან მიღებულ ცნობით, 5 მარტს ფრანგები ახალ შეტევაზე გადავიდნენ, დაკავებულია რემშეიდი და სწარმოებს წინსვლა ვიპერფურტისაკენ. როგორც სჩანს, ოკუპაციის ახალი გაფართოვება გამოწვეულია იმ მიზნით. რათა დააწესონ მთლიანი საბაჟო ხაზი ბაზელიდან ვეზელამდე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხაზის ნაწილი უჭირავთ ინგლისელებს.

რურის გარშემო

ლოიდ ჯორჯი რურის ოკუპაციის შესახებ.

პარიზი 8 მარტი. ახლო მომავალში „დეიტშე ალგემეინე ცეიტუნგი“ გამოაქვეყნებს ლოიდ ჯორჯის წერილებს რურის საკითხის შესახებ.

1920 წელში ჯარში გაწვეულთა შეჩერება.

ბერლინი. 8 მარტი. სამხედრო მინისტრმა მაჟინომ საფრანგეთის კაბინეტის სხდომაზე განაცხადა, რომ მას განზრახვი აქვს 31 მაისამდე იარაღქვეშ ამყოფოს 1920 წელში ჯარში გაწვეულები.

მადა გაეღვიძათ.

ბერლინი. 8 მარტი. ბელგიის პარლამენტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ შეიტანა წინადადება მოთხოვნილებით მიეცეს ბელგიის სპას ხელშეკრულების მიერ დაწესებულ კონტრიბუციების 8 პროცენტზე მეტი.

თათბირობენ.

პარიზი. 8 მარტი. ბრიუსელში შესდგა თათბირი პუანკარესა და ფენისს შორის რურის საკითხის შესახებ.

ყველას ხელს უშლის საბაჟო ზღუდე.

მოსკოვი. 8 მარტი. „დეილი კრონიკლ“-ის სიტყვებით, საფრანგეთმა ამ ჟამად დააწესა საბაჟო ზღუდე ჰოლანდიიდან ლოტარინგიის საზღვრამდე, რის გამოც ფრანგები ბაჟს აწესებენ აგრეთვე იმ საქონელზე, რომელიც იგზავნება გერმანიის ოკუპაციის გარეშე დარჩენილ ადგილებში.

ჰოლანდიამ გადასდგა ნაბიჯები, რათა ბოლო მოუღოს საფრანგეთის ჩარევას ჰოლანდიის და გერმანიის სავაჭრო ურთიერთობაში.

გერმანიის ამბები

ფაშისტები მიუნხენში.

მოსკოვი, 8 მარტი. მემარცხენე ბურჟუაზიული პრესის ორგანოები გერმანიაში აღშფოთებული არიან მიუნხენის პოლიციის საქციელით, რომელმაც აკრძალა „სამშობლოს დაცვის რესპუბლიკანურ კავშირის“ კრებები. ნაციონალისტების კრებაზე ფაშისტების ლიდერი გიტლერი იყვეხნიდა, რომ რესპუბლიკანულ კავშირის კრების აკრძალვა მოხდა ფაშისტების გავლენით პოლიციაზე. 4 მარტს გიტლერის რაზმები მიუნხენის მიდამოებში აწარმოებდენ სამხედრო ვარჯიშობას, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 1200 კაცი. მათ რიცხვში იყვენ როსმახის რაზმებიც და რეიხსვერის ჯარის კაცები.

მონარქისტების შეთქმულების გამო.

პარიზი. 8 მარტი, გაზეთ „ახტუჰრ-აბენდ ცეიტუნგის“-ს გადმოცემით, მიუნხენში აღმოაჩინეს მონარქისტების შეთქმულება მთავრობის წინააღმდეგ.

მონარქისტების დაპატიმრება.

ბერლინი. 8 მარტი. მიუნხენში დააპატიმრეს 15 კაცი, რომლებსაც ბრალათ ედებათ სახელმწიფო ღალატი და ბავარიის მთავრობის ჩამოგდების განზრახვა.

პრესა კუნოს სიტყვის შესახებ

გაზ. „ტანი“.

პარიზი. 8 მარტი. იხილავს რა კუნოს სიტყვას, გაზ. „ტანი“ აღნიშნავს მასში სამ მთავარ იდეას: 1) გერმანია პირველი არ მისცემს წინადადებას დაიწყონ მოლაპარაკება, 2) მიუხედავათ ამისა, ის მაინც თანახმა იქნება მოლაპარაკებისა და 3) რომ იგი იბრძოლებს ბოლომდე. ამთავრებს რა სიტყვის განხილვას, გაზ. „ტანი“ ამბობს, რომ გერმანიას არ აქვს საშუალება შეადგინოს სწორი და ვრცელი გეგმა საკონტრიბუციო გადასახადებისა, რადგან იგი ისეთსავე გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება, როგორც 1917 წელში.

საფრანგეთ-გერმანიის პრესის აზრი კუნოს სიტყვის შესახებ.

ბერლინი. 8 მარტი. მიუხედავად იმისა, რომ პარიზის გაზეთების უმრავლესობა კუნოს სიტყვას უმნიშვნელოდ სთვლის და ამჯობინებს პოლიტიკურ პარტიების ლიდერების განცხადებისათვის დაცდას, გაზეთების ნაწილი აღიარებს, რომ კუნომ გარკვევით გამოხატა გერმანიის სურვილი „პატიოსან“ შეთანხმების მიღწევისათვის.

ბერლინი. 8 მარტი. „ბერლინერ ტაგებლატი“-ი ფიქრობს, რომ კანცლერმა არსებითად გარკვევით და გადაჭრით აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ გერმანიას არ შეუძლია დაიწყოს მოლაპარაკება, თუ საფრანგეთი არ არის თანახმა შეუდგეს მას.

ახლო აღმოსავლეთში

მოკავშირეთა პროექტი მიუღებელია.

ლონდონი. 8 მარტი. აქ მიღებულია ანგორის მთავრობის ოფიციალური ცნობა საზავო ხელშეკრულების შესახებ. ცნობა გამოქვეყნებული იყო ეროვნულ კრებაში კამათის დასრულების შემდეგ. მასში ნათქვამია, რომ ანტანტის მიერ წარმოდგენილი საზავო ხელშეკრულების პროექტი ოსმალეთის მიერ მიუღებლათ არის ცნობილი, ვინაიდან ის შეიცავს ოსმალეთის დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო მუხლებს. ცნობაში შემდეგ ნათქვამია. „უკეთუ ანტანტა გადაჭრით მოითხოვს ამ ხელშეკრულების მიღებას, ჩვენ თავისუფლათ ჩავთვლით თავს იმ შედეგების პასუხისმგებლობისაგან, რომლებიც ამას მოჰყვება. ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებისაგან მიიღო უფლებები მოლაპარაკების, დროის განუსაზღვრელათ, გაგრძელებისათვის, ჩვენი საარსებო მოსულის საკითხის სავსებით გადაწყვეტისა და ჩვენი ერის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფათ და აგრეთვე ეკონომიურ, საფინანსო, ჯარების ევაკუაციისა და სხვათა საკითხების გადასაწყვეტათ.

საბერძნეთის სამხედრო სამზადისი.

ბერლინი. 8 მარტი. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ აღმოსავლეთ ფრაკიაში ჯარების გაძლიერებული კონცენტრაცია გრძელდება. მთავარი შტაბი გადატანილია სალონიკიდან დედეაგაჩში, სადაც ინგლისელ გემებს საბერძნეთის სამხედრო მასალა მოაქვთ. სასწრაფოთ ამაგრებენ მოსაზღვრე ქალაქს მარიცას.

ბერძნების კონცენტრაცია საზღვართან.

რომი. 8 მარტი. ფრანგულ გაზეთების ცნობით ბერძნების სამხედრო მზადება დასავლეთ ფრაკიაში გრძელდება. ჯარები საზღვართან გროვდებიან.

მოლაპარაკების გაგრძელება შესაძლებელია.

პარიზი. 8 მარტში. საფრანგეთის გაზეთები იუწყებიან, რომ თუ ოსმალეთის მთავრობა მისალებ წინადადებებს წარმოადგენს, საფრანგეთი მზათ არის განიხილოს ისინი. თუ ამ წინადადებათა განხილვა შესაძლებლათ იქნება ცნობილი, მოკავშირეებთან საერთო მოლაპარაკება გაგრძელდება ან ლოზანაში ან სხვა რომელიმე ქალაქში.

ოსმალეთის პროექტის საფუძვლები.

პარიზი. 8 მარტი. ოსმალეთის კომისართა საბჭო საზავო ხელშეკრულების ოსმალეთის კონტრ-პროექტის დამუშავებას შეუდგა. დიდმა ეროვნულმა კრებამ უფლება მისცა კომისართა საბჭოს განაგრძოს მოლაპარაკება შემდეგ საფუძვლებზე:

1. საფინანსო კაპიტულიაციის გაუქმება, 2. მოსულის საკითხის და, აგრეთვე, ეკონომიურ და საფინანსო საკითხების განხილვის გადადება, 3. კარაგაჩის გაწმენდა, 4. ლოზანის საზავო ხელშეკრულების იმ მუხლების მიღება, რომლებიც შეთანხმებული იყვენ ლოზანაში ოსმალეთის დელეგაციის პირობებთან, 5. აუცილებელი მოთხოვნა საბერძნეთის მიერ კონტრიბუციის გადახდისა და დანგრეულ რაიონების აღდგენისა.

აჯანყებები სირიაში იზრდება.

მოსკოვი. 8 მარტი. ლონდონში კონსტანტინეპოლიდან მიღებულ ცნობებით, ფრანგების წინააღმდეგ აჯანყება ალეპოში თანდათან იზრდება. მიმოსვლა ალეპოსა და ალექსანდრეტას შორის შეწყვეტილია.

საბერძნეთი ემზადება ომისათვის.

მოსკოვი. 8 მარტი. ათენიდან იტყობინებიან, რომ საბერძნეთის მთავრობამ გასცა ბრძანება, რათა ათენაში ყველა მცხოვრებლები შეიარაღებული იქნან. ქალაქს გარშემორტყმულ მაღლობებს ამაგრებენ. ფიქრობენ, რომ ეს არაჩვეულებრივი ზომები გამოწვეულია პირიეის ნავთსადგურის ბლოკადის შიშით საფრანგეთის ფლოტის მიერ იმ შემთხვევაში, თუ საბერძნეთი ინგლისის კარნახით გადავა შეტევაზე ფრაკიაში.

სმირნის ეკონომიურ კონგრესის დახურვა.

მოსკოვი 8 მარტი. სმირნიდან იტყობინებიან, რომ ეკონომიური კონგრესი დაიხურა. კონგრესის თავმჯდომარეს კიაზიმ კარა ბექირს დავალებული აქვს თვალყური ადევნოს კონგრესზე გამოტანილ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

ამერიკაში

ნავთის დიქტატორები.

მოსკოვი, 8 მარტი. ნიუ-იორკში საგამომძიებლო კომისიამ სენატორ ლაფოლეტის თავმჯდომარეობით გამოაქვეყნა მოხსენება „სტანდარტ ოილი“-ს საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ. მოხსენებიდან სჩანს, რომ ეს საზოგადოება განუსაზღვრელათ და სრულ-უფლებიანათ მეფობს მთელს ამერიკულ მრეწველობაში და კონტროლს უწევს, ეგრედ-წოდებულ, დამოუკიდებელ საზოგადოებათა მოღვაწეობას. მოხსენებაში აღწერილია ნედლი ნავთის ფასების ვაკხანალია, რომელსაც ის ომის შემდეგ აწყობს. ნათქვამია აგრეთვე გამგეობის წევრთა ვეებერთელა საწყობებისა და განსაცვიფრებელი მოგების შესახებ. მე-2 წელში ამერიკის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა—ჩაითვალოს აუცილებელ საჭიროებათ „სტანდარტ ოილ“-ის ცალკე საზოგადოებებათ დაყოფა, მაგრამ კომისიის მოხსენება ამტკიცებს ამ დადგენილების უსარგებლობას.

ნახშირის მრეწველთა მადა.

მოსკოვი, 8 მარტი. ამერიკის ქვანახშირის მემაღაროეთა კავშირმა მთავრობისადმი მიმართვაში აღნიშნა კოლოსალური მოგება, რომელიც ნახშირის მრეწველებს მუშებიდან და მომხმარებლებიდან გამოაქვთ. მიმართვა ბრალს სდებს მრეწველებს მუშათა მკაცრ, არა ადამიანურ ექსპლოატაციაში და მომხმარებლების ძარცვაში.

იტალიაში

კომუნისტების და სოციალისტების დაპატიმრების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 8 მარტი. რომიდან იტყობინებიან, რომ იტალიის სოციალისტები პარტიის გამგეობამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია ფაშისტების მიერ მოხდენილ მასიურ დაპატიმრებათა და პარტიული მოსაზრებებით სამსახურიდან დათხოვნის წინააღმდეგ.

ინგლისში

უმუშევართა კონფერენცია.

მოსკოვი. 8 მარტი. ინგლისის უმუშევართა ნაციონალური საბჭო 9 აპრილისთვის იწვევს უმუშევართა კონფერენციას. კონფერენციის დღის წესრიგში დგას: უმუშევართა წარმომადგენლების მონაწილეობა საზოგადო სამუშაო პროექტების ორგანიზაციის შემუშავებაში, ხელის შეწყობა უმუშევართა მხრივ გაფიცულ მუშების რომელთაც გამოცხადებული აქვთ ლოკაუტი, უმუშევართა მონაწილეობის მიღება ტრედიუნიონების საბჭოში. საბჭოთა ხელისუფლების ცნობა და ენერგიულათ მხარის დაჭერა უმუშევართა მოთხოვნილების მიეცეს მათ ჯამაგირები ტრედიუნიონების განაკვეთით.

ნორვეგიაში

სოციალდემოკრატებმა იწვნიეს ხილა.

მოსკოვი. 8 მარტი. ნორვეგიის პროფკავშირების ცენტრალურ ორგანიზაციის ყრილობაზე იაინმა მისალმების სიტყვაში გაუსვა ხაზი გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული იყო ცენტრალურ ორგანიზაციის პლენუმში ამსტერდამის გაერთიანებიდან გამოსვლის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება ყრილობამ უნდა მიიღოს ერთხმად და საბოლოოდ. ორატორის აზრით კითხვა პროფინტერნში შესვლის შესახებ წინასწარ უნდა იქნეს განხილული პროფკავშირებში. ყრილობის უმრავლესობამ 140 ხმით წინააღმდეგ 53 ხმისა უარყო მონაწილეობის მისალებათ სოციალ-დემოკრატების მიწვევა ყრილობაზე.

სიმპტომატიური მოწინავე წერილი

მოსკოვი. 8 მარტი. გაზეთი „ტანი“ მოწინავე წერილს უძღვნის ლიტვისა და პოლონეთისადმი მიმართულ ჩიჩერინის ნოტას, გაზეთი აღნიშნავს, რომ რუსეთი, როგორც ამ ნოტიდან სჩანს, აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის დაცვას ცდილობს. ჩიჩერინის გერმანელ ჟურნალისტებთან საუბრის გამო „ტანი“ სწერს: „ჩვენ ვშიშობდით, უფრო რუსეთის, ვიდრე საფრანგეთის ინტერესებისათვის, რომ ამ განცხადებაში ფარული აზრები იმალება, რომლებიც საფრანგეთისადმი მტრულ განწყობილებას გამოხატავდენ. მაგრამ, სჩანს, ჩიჩერინს ის არ ქონდა მხედველობაში. ლოზანის კონფერენციაზე საუბრის დროს ჩიჩერინი დაკმაყოფილდა მხოლოდ იმ შეცდომების აღნიშვნით, რომლებსაც უკვე იცნობენ ჩვენი მკითხველები“. შემდეგ „ტანი“ ამბობს: ლოზანის კონფერენცია, რომელზედაც საფრანგეთის და რუსეთის ინტერესები არ იყო შეურიგებელ წინააღმდეგობაში—დაკარგული შემთხვევაა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ლიტვის საკითხი არ გამოიწვევს ორივე სახელმწიფოსათვის მავნე და უაზრო უთანხმოებას. თუ რუსეთს ზავი სურს, საფრანგეთიც იმასვე მოისურვებს. ევროპის კონტინენტი მოელის იმ დღეს, როდესაც საფრანგეთი და რუსეთი გაიგებენ ერთი-მეორეს და ერთი მეორის გეგმის შემდეგ ერთმანეთს იცნობენ“.

სხვადასხვა ამბები

სამოქალაქო ომი.

მოსკოვი. 8 მარტი. დუბლინიდან მოსულ ცნობის თანახმად ირლანდიის სახელმწიფოს ჯარები კერიში შეტევით გადავიდნენ რესპუბლიკანელების წინააღმდეგ. შეტაკების დროს რესპუბლიკანელების მხრივ მოკლულია 5 კაცი. მთავრობის მხრივ—4.

13 მარტს, დილის 11 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში
გაიხსნება

საქართველოს კომპარტიის
მე-2-ე ყრილობა

დღის წესრიგი:

1. ცეკას ანგარიში.
2. ცენტრ. საკონტროლო კომისიის და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკას ანგარიში.
4. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ბიუროს ფრაქციის მოხსენება პროფკავშირებში მუშაობის შესახებ.
5. ეროვნული მომენტი პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში.
6. მიწის რეფორმის შედეგები.
7. სამეურნეო აღმშენებლობის ამოცანები საქართველოში.
8. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: საქართველოს კომპარტიის 100 ნამდვილ წევრისაგან—1 დელეგატი.

წითელი არმია გზავნის დელეგატებს სამხედრო პარტიულ კონფერენციიდან საერთო წესით.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი მიხ. კახიანი.

შაბათს, 10 მარტს, საღამოს 6 საათზე აღმასკომის დარბაზში დანიშნულია ტფილ აღმასკომის სხდომა

დღის წესრიგი: 1. საინფორმაციო მოხსენება პრეზიდიუმის მოღვაწეობისა და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ. 2. ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საამშენებლო კომიტეტის მოხსენება მუშაობის მსვლელობის შესახებ. 3. მიმდინარე კითხვები.

(კრ. 244 2—1)

პრეზიდიუმი.

ბუხარინი რუსეთის ბეჭდვითი საქმის საზღვარ-გარეთელ წარმომადგენელთა კრებაზე.

მოსკოვი. 8 მარტი. რუსეთის ბეჭდვითი საქმის წარმომადგენელთა კრებაზე ბერლინში ბუხარინმა გააკეთა შესანიშნავი მოხსენება რუსეთში სოციალურ ფსიქოლოგიაში მომხდარ ცვლილების შესახებ. ამავე მოხსენებაში ბუხარინმა მჭერმეტყველურად დაასურათა თანამედროვე მსოფლიოს მდგომარეობა. ამხ. ბუხარინის მიერ გაკეთებულ მოხსენების გამო კამათს გაცხოველებული და მწვავე ხასიათი ჰქონდა. კამათში მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე „სმენავეხოვცები".

ეკონომიური თათბირი ბალტიის განაპირა სახელმწიფოების.

პარიზი. 8 მარტი. ფინეთიდან იტყობინებიან, რომ ბალტიის განაპირა სახელმწიფოების ეკონომიურ კონფერენციაზე, რომელიც სწარმოებს გელსინგფორსში, მონაწილეობას ღებულობენ ესტონეთის, პოლონეთის და ფინეთის წარმომადგენლები. ლიტვამ გაგზავნა მეთვალყურე.

პოლონეთი.

სახელმწიფოს დეფიციტი პოლონეთში.

რომი. 8 მარტი. პოლონეთის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ პოლონეთის ბიუჯეტის დეფიციტი უდრის 1 მილიარდ 344 მილ. ოქროს. მინისტრის განცხადებით დეფიციტი დაფარულ იქნება გადასახადებით და სახელმწიფო სესხით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მეურნეობისათვის ზრუნვა.

მოსკოვი, 8 მარტი. გუშინ რ. კ. პ. მოსკოვის პლენუმზე ამხ. კამენევმა მოხსენება გააკეთა ცენტრალურ კომიტეტის უკანასკნელ პლენუმის შესახებ. გლეხობის მდგომარეობის შესამსუბუქებლათ ცენტრალურ კომიტეტის პლენუმმა დაადგინა ნაწილობრივ სასურსათო გადასახადი ფულის გადასახადით შესცვალოს. გარდა ამისა ც. კ.—მა ყურადღება მიაქცია საზღვარგარეთ პურის ექსპორტის მოწესრიგებასა და სოფლის გადასახადების გაერთიანებას. მრეწველობის ორგანიზაციის საკითხის გამო ც. კ. გამოიტანა დადგენილება გეგმიან მეურნეობის ტრესტებისა და ცალკე წარმოებების თვითმოქმედებასთან შეფარდების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება ც. კ.—ამ სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებას მიაპყრო. პარტიულ აღმშენებლობის სფეროში ც. კ.—ამ დაადგინა გაადვილოს პარტიაში მუშების შესვლა და, ამასთანავე, განაგრძოს პარტიის წმენდა უცხო ელემენტებისაგან.

რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარება.

მოსკოვი. 8 მარტი. რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების ბიუროს გუშინდელ სხდომაზე აღნიშნეს, რომ ყველაზე დიდ წარმატებას დახმარების კამპანიამ მიაღწია გერმანიაში. ბიუროს მოსკოვში აქვს 4,000 ოქროს მანეთი, რომლის გადიდება განზრახულია კამპანიის დღეს 18 მარტს. ბიურომ სხვათა შორის დაადგინა სთხოვოს კომინტერნს დაუკავშიროს 18 მარტი მსოფლიო ფაშიზმის წინააღმდეგ პროტესტს.

კომინტერნში

კომინტერნის მოწოდება უნგრეთის პროლეტარიატისადმი

მოსკოვი 6 მარტი. კომინტერმა მიმართა მოწოდებით უნგრეთის პროლეტარიატს, რომელიც ცდილობს გააუმჯობესოს თავის არსებობის პირობები უკიდურეს ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლით. მოწოდება აფრთხილებს მათ, რომ თუ უნგრეთის მსხვილ წარმოებათა მიერ გამოცხადებული ლოკაუტი დამარცხდა, ბურჟუაზია დაუყონებლივ შეუტევს პროლეტარიატს ხორტის მოღალატურ მთავრობის ჯარებით. მოწოდება აღნიშნავს, რომ მუშების ბრძოლა დამქირავებელთა წინააღმდეგ დამთავრდება გამარჯვებით, თუ ყველა გაყვლეფილნი გამოიჩენენ სოლიდარობას და გამოაცხადებენ უნგრეთის პროლეტარიატისადმი თავიანთ სოლიდარობას.

უცხოეთის ცხოვრება

რეინ-ვესტფალიის ქარხნის საბჭოების მოწოდება საერთაშორისო პროლეტარიატისადმი

რეინ-ვესტფალის ქარხნის საბჭოების 23-ე კომიტეტი მიმართავს მოწოდებით საფრანგეთის წითელ კავშირებს (გაერთიანების კავშირს), საფრანგეთის პროფესიონალურ კავშირებს, საერთო გერმანიის პროფესიონალურ კავშირებს, გერმანიის მუშათა საბჭოების ცენტრალურ კომიტეტს, გელზენკირხენის ფიზიკურ და გონებრივ მუშაკთა კავშირს, საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას, ბელგიის სოციალისტურ პარტიას, საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას, ბელგიის კომუნისტურ პარტიას, ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიას, ინგლისის კომუნისტურ პარტიას, გერმანიის დამოუკიდებელ პარტიას, გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატ. პარტიას, გერმანიის კომუნისტურ პარტიას, საფრანგეთის და გერმანიის კომუნისტური პარტიების მოქმედების კომიტეტს, ამსტერდამის მუშათა ინტერნაციონალს, მოსკოვის მუშათა წითელ ინტერნაციონალს, მესამე ინტერნაციონალს და საფრანგეთის, ბელგიის, ინგლისის და გერმანიის მთელ პროლეტარიატს.

მოწოდება აღნიშნავს იმ საშინელ შედეგებს პროლეტარიატისათვის, რომელიც მოჰყვება რურის ოკუპაციას, ომის საფრთხეს და ეკონომიური ბრძოლის შედეგებს, რაც ყველაფერი ერთად გამოიწვევს ევროპის განადგურებას და საფრანგეთის და გერმანიის პროლეტარულ მასების სრულ დამონავებას.

23-ე კომიტეტმა, 4 თებერვალს, ესსენში გამართულ სამთამადნო და ფოლადის ჩამომსხმელ მრეწველობის კონფერენციაზე წამოაყენა შემდეგი მოთხოვნილებანი:

1. ბრძოლა გაერთიანებული ფრონტით ყოველგვარ ნაციონალისტურ ომის წინააღმდეგ.
2. ანტანტის საოკუპაციო ჯარების ევაკუაცია.
3. კუნოს მთავრობის ჩამოგდება, შედგენა მუშათა მთავრობისა, რომელიც დაუყოვნებლივ შედის მჭიდრო კავშირში რუსეთთან და ატარებს აღდგენის პროლეტარულ პოლიტიკას ანტანტის ქვეყნებში.
4. კონტრრევოლიუციონურ ბანდების დაუყონებელი განიარაღება მთელ გერმანიში და დარაზმულ მუშათა მასების შეიარაღება.
5. 6 საათის სამუშაო დღის დაუყონებელი შემოღება სამთომადნო მრეწველობის ნაყოფიერების გასაძლიერებლად. მაგრამ არ უნდა გაუქმდეს 8 საათის სამუშაო დღე დანარჩენ მრეწველობისათვის.
6. ხელფასის მაქსიმალურად გადიდება, საარსებო პროდუქტების საკმაო რაოდენობით მომარაგება, ყველა მუშების, მოსამსახურეების, ომის ინვალიდების და სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფ პირთათვის 100.000 მარკის დაუყოვნებლივ მიცემა ცხოვრების გაძვირების გამო.
7. ხელფასის 10 პროცენტიან გადარიცხვის გაუქმება.
8. გერმანიის და საფრანგეთის პოლიტიკურ პატიმართა დაუყოვნებელი განთავისუფლება.
9. სრული ხელფასის დაუყოვნებელი მიცემა გაფიცვის დროს.

მოწოდება თავდება ასე: „რეინ-ვესტფალიის საბჭოების 23-ე კომიტეტი მოგმართავთ თქვენ მუშათა ორგანიზაციებო და მუშათა პარტიებო, უდიდეს საშიშროების მომენტში და მოგიწოდებთ დაუყოვნებლივ მოიწვიოთ ზემოდ ჩამოთვლილ ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა შეიმუშაოს მთელი რიგი კონკრეტულ ღონისძიებათა ამ მოთხოვნილებათა ცხოვრებაში გასატარებლად პუანკარიზმისა და ფაშიზმისაგან დასაცავად, კაპიტალის შემოტევის, გერმანიის და საფრანგეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, პროლეტარულ მასების სრული განადგურებისაგან დასაცავად. ამ ორგანიზაციებს უკან მდგომი მუშათა ფართო მასები არიან ხელისუფლების ისეთი ფაქტორი, რომელსაც აქვს საშუალება მიაღწიოს ყველა ამ საკითხების გადაწყვეტას.

საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგეთ ბრძოლას.

ვინც განუდგება გაერთიანებულ ფრონტით ბრძოლას, იგი იმალება ბურჟუაზიის ზურგს უკან და კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას ცენტრალურ ევროპის განადგურებისათვის, რაც მთელ მსოფლიოს უფსკრულში გადასჩეხავს. ეს დაღუპვა მოასწავებს გერმანიის და საფრანგეთის პროლეტარიატის დაღუპვას.

ველით დაუყოვნებელ პასუხს და გადაუდებელ მოქმედებას. აი დღის ლოზუნგი".

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

კალიასთან ბრძოლის ფრონტზე.

სულ აღრიცხულია 2250000 დესიატინა ადგილი, სადაც გავრცელებულია კალია, მხოლოთ დასამუშავებელია 140000 დესტ. რადგანაც გამრავლებული კალია იკუმშება და ჯგუფდება გაცილებით უფრო მცირე მოედანზე. ბრძოლა წარმოებული იქნება კუბატლინის მაზრით კრაიონში: კარიაგინის, მახინის, კარაბახ-ვარდინის, ტერ-ტერის, გიოქჩის, შემახის, მილსკის და მუგანის და აგრეთვე სპარსეთთან მოსაზღვრე რაიონებში. კალიასთან მებრძოლ კომპანიის სათანადოთ მომზადება დასრულებულია. ბრძოლა იქნება ახალი მეთოდებით შეშხაპუნების საშუალებით ბრძოლის ძველი საშუალებები დაწვა და თხრილების ამოღება შეჩერებულია, რადგანაც მეცნიერების მიერ ცნობილია მიზანშეწონილად. შეშხაპუნებელთა სპეციალურ კადრის მოსამზადებლათ მიწათმოქმედების კომისარიატმა გახსნა მოკლე ვადიანი საინსტრუქტორო კურსები.

სომხეთი

სამკურნალო საქმე.

შ. ს. კომისარიატმა მიმართა ჯანმრთელობის კომისარიატს წინადადებით გაფართოვებული იქნეს სამკურნალოები ერევანში, ალექსანდროპოლში და ახალ ბაიაზეთში საწოლების რიცხვის გადიდებით ვენერიულ ავათმყოფთათვის.

ალექსანდროპოლის აღმასკომი ღებულობს ზომებს ვენერიულ ავათმყოფობათა გავრცელების შესაჩერებლათ, რისთვისაც კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას წინადადება მიეცა გააფართოვოს ვენერიულ ავათმყოფთა სამკურნალოები.

მეაბრეშუმობა.

მიწად-მოქმედების კომისარიატმა გადასცა სომხეთის სახელმწიფო ვაჭრობას 200 ცალი კოლოფი აბრეშუმის თესლი მეაბრეშუმობის გასავრცელებლათ მეგრინის და კაპანის რაიონებში.

სტატისტიკა.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ამუშავებს მასალებს სახალხო განათლების მდგომარეობის შესახებ სომხეთში 1919 წლ. 1922 წლამდე. მუშავდება აგრეთვე მასალები მოსახლეობისა და შრომის მოძრაობის შესახებ.

უპარტიო ქალთა კონფერენცია

7 მარტს საღამოს მუშათა სასახლის დიდ დარბაზში შესდგა ქალაქ თბილისის და თბილისის მაზრის მშრომელ ქალთა მე-2-ე უპარტიო კონფერენცია.

მისალმებანი.

გამოაცხადა რა კონფერენცია გახსნილად ამხ. დალნიაია მიესალმა მას ქალთა განყოფილების სახელით.

დედობის და ბავშვობის დაცვის განყოფილების სახელით თავის საერთაშორისო დღესასწაულზე შეკრებილ მშრომელ ქალებს მიესალმა ექიმი ზუნტურიძე, რომელმაც მოიგონა მშრომელი ქალის წინანდელი მძიმე მდგომარეობა, როდესაც ის მოკლებული იყო ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს და აღნიშნა, რომ რუსეთის რევოლიუციამ ერთის დაკვრით გაანთავისუფლა მუშები და მასთან ერთად მშრომელი ქალიც.

წალკინის რაიონის ბერძენ ქალთა სახელით გამოვიდა ამხ. მელანია ჩანჩიევისა, რომელიც მიესალმა საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც გაუნათა ქალს თავისი გზა და აწარმოებს ნაყოფიერ მუშაობას ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მუსულმან ქალთა სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. ჰუსეინოვა.

საერთაშორისო მდგომარეობა

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლეჟავა, რომელმაც გაარჩია მისი 3 მხარე:

საერთაშორისო ეკონომიური მდგომარეობა, დ მდგომარეობა პოლიტიკური მდგომარეობა პარტიაში.

საერთაშორისო ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ ამხ. ლეჟავამ სთქვა, რომ ლენინის, ტროცკის და ვარდინის მიერ ჯერ კიდევ გასულ წელს გამომუშავებულ თეზისებს არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა. ბურჟუაზია შეიჭრა ისეთ ჩიხში, საიდანაც ვერ გამოიყვანს მას ვერც ერთი კონფერენცია.

პოლიტიკური მდგომარეობას ახასიათებს ფაშისტების ზეგავლენით ბურჟუაზიის შემოტევა ყველა ფრონტებზე, მაგრამ ამასაც ადრე მოეღება ბოლო.

პარტიის მდგომარეობა კი თანდათან მტკიცდება. იმ დროს, როდესაც პროლეტარულ მოძრაობის ავანგარდი კომუნისტური პარტია უფრო და უფრო იზრდება, ევროპის ბურჟუაზიის მიერ მოყიდული მენშევიკური პარტია იშლება და იხრწნება.

8 მარტი

8 მარტის, როგორც მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ მოხსენებით გამოდიან ამხ. ბიბინეიშვილი ქართულ ენაზე და გოლუბევა რუსულ ენაზე. მოხსენებებში ნათქვამი იყო, რომ იმ დროს, როდესაც აქ საბჭოთა ქვეყანაში მშრომელი ქალები უკვე განთავისუფლებული არიან, სხვა ქვეყნებში მუშათა კლასის საუკეთესო მეთაურნი დღეს 8 მარტს მხოლოდ მოუწოდებენ მათ განთავისუფლებისაკენ. მშრომელ ქალთა ამ საერთაშორისო დღესასწაულის დღეს რუსეთის და კავკასიის მუშა-ქალზე ყოველგან ილაპარაკებენ, როგორც მონობისაგან უკვე განთავისუფლებულ ქალზე.

ახალი დედა და მომავალი თაობა.

ამხ. შავერდოვამ, რომელიც გამოვიდა მოხსენებით თემაზე „ახალი დედა და მომავალი თაობა" ნათლათ დაახასიათა ქალის და ბავშვის მდგომარეობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში და საბჭოთა რესპუბლიკებში.

იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში ქალის მდგომარეობა ხასიათდება პოეტის სიტყვებით:

„მონას გაჰყევ ცოლად
მონის იყავი დედა.
სამარემდის მონას მორჩილებდე მარად".

საბჭოთა წესწყობილება არაფერს არ ზოგავს, რათა მშრომელ დედას შეუმსუბუქდეს ბავშვების მოვლის სიძნელე. ამისათვის არსებობს ბავშვთა თავშესაფარი და საბავშვო ბაღები. თუ ობიექტიურ პირობების გამო თავი დავანებეთ საზოგადო სამრეცხველოებს და სასადილოებს, ეს მხოლოთ დროებით.

რაც შეეხება ბავშვთა მდგომარეობას, ბურჟუაზიულ ქვეყნებში ბურჟუაზიის შვილებს ზრდიან ჩინოვნიკებად, მუშებისა და გლეხების შვილებს კი ასწავლიან მხოლოდ მეფისა და სამშობლოსადმი სიყვარულს. აქ კი ყველა ბავშვები ერთნაირად ძვირფასია სახელმწიფოსათვის და საბჭოთა ხელისუფლებას აქვს სპეციალური კანონმდებლობა მცირე წლოვანთა შრომის შესახებ.

ამხ. შავერდოვა ათავებს თავის მოხსენებას შემდეგი სიტყვებით: „მონა დედას არ შეუძლია მოგვცეს მომავალი ცხოვრების კარგი აღმშენებელი".

წითელი არმია მზათ არის.

წითელი არმიის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. ზილბერმანი, რომელმაც სთქვა, რომ 8 მარტს მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღეს ყველა ქვეყნებში, სადაც კაპიტალი ჯერ კიდევ ჩაგრავს შრომას, გამოვლენ მშრომელი ქალები და მოითხოვენ მათ განთავისუფლებას. შესაძლებელია კაპიტალმა ჩვეულებრივი სიმკაცრით მიუსიოს მათ პოლიცია და გაფანტოს; მაგრამ დეე იცოდენ, რომ წითელი არმია მშრომელი ქალის პირველ ძახილის თანავე გამოვა და დაიცავს მას თავისი მკერდით.

უპარტიო ქალის ხმა.

უპარტიო მატიუხოვამ თავის უბრალო სიტყვაში განაცხადა: „მე არ ვეკუთვნი იმ პარტიას, რომლის წარმომადგენელნი ზიან პრეზიდიუმის მაგიდასთან. მაგრამ უნებლიეთ იბადება კითხვა, ვინ მოგვცა ჩვენ უფლება შევიკრიბოთ და ვიმსჯელოთ ჩვენ საქმეზე? მესამე ინტერნაცი ნალმა. და მე არ შემიძლია ამას გარიში არ გაუწიო.

ოსმალეთის ქალის შესახებ.

ოსმალეთის ქალის და იქ და ბულ მოძრაობის შესახებ მოხსენე ბით გამოვიდნენ ამხ. ბიბინეიშვილ დ დალნაია უკანასკნელმა მოხსენე შემდეგ მიმართა კონფერენციას ნადადებით გაუგზავნონ სალამი დებს აღმოსავლეთში. წინადად მიღებულ იქნა ერთხმად.

სხდომის დახურვა

მოხსენებების შესახებ რეზოლ ციების მიღების შემდეგ, კონფე

მემამულეების მიწები გლეხებს!

გორის მაზრის
სია

მაზრის იმ სოფლებისა და თემების, სადაც მემამულეებს ჩამორთ[illegible]წები რევოლიუციონური წესით უკანასკნელ კვირეებში.

	დასახელება სოფლებისა	რომელ თემისა	ჩამორთმეულ მიწების რაოდენობა დღიურებით
1	ატენი	ატენის	43 დღიური
2	გარდატენი.	"	26 "
3	ოსიაური	ხაშურის	25 "
4	მონასტერი.	სურამის	16 დღ. 3/4 ჩ.
5	შინდისი	"	5 1/2 დღ.
6	ზეკოტა	"	7 დღ.
7	ბაიანთხევი	"	19 "
8	ბიჯნისი	"	28 დღ. 3/4
9	ბელლეთი	"	4 1/2 დღ.
10	წრომი	ხცისის	94 დღ.
11	ქვემო-ჭალა	ქვ. ჭალის	86 "
12	ურბნისი	რუისის	56 "
13	რუისი	"	754 "
14	ჭანკოტაძეების უბანი	ხაშურის	34 "
15	აზარმეთი	"	38 "
16	ქარელი	ქარელის	214 დღიური
17	ქვ. ხვედრეთი	"	119 "
18	ზემო-ხვედრეთი	"	105 "
19	ძლევის-ჯვარი	დირბის	80 "
20	ტახტის-ძირი	"	78 "
21	დირბი	"	471 "
22	დვანი	"	0 "
23	წაბლოვანი.	სურამის	28 1/2 დღ.
24	ქემფერი	"	70 "
25	ცხრა-მუხა	ხაშურის	48 1/2 დღ.
26	გორისჯვარი	გორის	33 დღიური
27	სვენეთი	"	129 1/2 დღ.
28	ხაშურის-თემი	ხაშურის	107 1/2 დღ.
29	ტყვიავი	ტყვიავის	223 დღიური
30	ქვეში	"	79 "
31	სათემო	"	51 1/2 დღ.
32	არცევი	"	47 1/2 "
33	ფლავი	"	144 1/2 დღ.
34	ძევერა	"	168 3/4 "
35	ციცაგიანთ-კარი	"	58 1/4 "
36	სასბრეთი	რუისის	94 დღიური
37	ქვემო-ნიქოზი	შინდისის	262 "
38	ზემო-ნიქოზი	"	218 "
39	ქვემო-ხვითი	"	329 3/4 დღ.
40	სამთავისი	ქვ. ჭალის	132 დღიური
41	თედო-წმინდა	გორის	29 "
42	ნადარბაზევი	ხცისის	9 1/2 დღ.
43	ახალშენი	"	8 1/2 "
44	ქვ. მიწობი.	"	20 1/4 "
45	ზემო-მიწობი	"	55 დღიური
46	კარბი	ტყვიავის	10 1/2 დღ.
47	მარანა	"	218 დღიური
48	ფლავისმანი	"	82 1/4 დღ.
49	კოშკა-გუგუტიანთში	"	47 1/2 "
50	ზარდიანთ-კარი	"	40 1/2 "
51	ქერი.	"	63 დღიური
52	ორთარშენი	რუისის	51 3/4 "
53	ბერბუკი	გორის	91 დღიური
54	ხელთუბანი.	გორის	109 3/4 დღ.
55	უფლისციხე.	გორის	279 დღიური
56	ბებნისი	რუისის	100 "
57	სვენეთი	გორის	186 1/4 დღ.
	სულ		6.546. 1/4 დღ.

ჩამორთმეული მიწების რაოდენობა თემებზე შემდეგნაირად ნაწილ ბა. ჩამორთმეულია:

თემებში ჩამორთმეულია: ატენის თემში 69 დღ. ხაშურის—253 სურამის—179 დღ., ხცისის—187. ქვემოჭალის—218 დღ. რუისის—1055 ქარელის—438 დღ. დირბის—1065 დღ. გორის—573 დღ. ტყვიავის—11 დღ. შინდისის—709 დღ. სულ 6.546 1/4 დღ.

ახალქალაქის თემში ჩამორთმეულია ყოფილ თავად-აზნაურთა რომელნიც ტფილისში სცხოვრობენ **სულ რვა სახლი და ერთი წისქვილ**

მთელს გორის მაზრაში თავად-აზნაურებისა და კულაკებისაგან ჩამორთმეული იქნება მათი ზედმეტი მამული საერთოთ ორმოც ათას დესეტინამდ

ჩვენი პარტიის 25 წლის თავისათვის

1. პარტიის ისტორიას ჩვენ ვანგარიშობთ მისი პირველი ყრილობიდან ე. ი. 1898 წ.—ყრილობიდან, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა პარტიის ფორმალურ გაერთიანებას და რომელზედაც მიღებულ იქნა წესდება და მანიფესტი: მაგრამ ფაქტიურად სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ჩაისახა რუსეთის მუშათა წრეებში 70-ან წლების მეორე ნახევრიდან.

2. იმ დროს სუსტ, მცირე რიცხოვან და დაქსაქსულ მუშათა კლასს, რომელიც კაპიტალიზმის და აბსოლიუტიზმის ორნაირ უღლის ქვეშ იმყოფებოდა, არ შეეძლო შეგნებულად და დარაზმულად ბრძოლის წარმოება.

3. 1878 წელს სტეფანე ხალტურინმა და ობნორსკიმ დაარსეს პეტროგრადში ჩრდილოეთ-რუსეთის მუშათა კავშირი, რომელშიც შევიდენ პეტერბურგის ყველა ცალ-ცალკე მუშათა წრეები და მათვე დაისახეს ამოცანა სრულიად რუსეთის მუშათა ორგანიზაციის შექმნისა. მაშინ პირველად შეიგნეს, რომ სოციალიზმისათვის საბრძოლველად საჭიროა პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება, რაც უზრუნველყოფს მუშათა მასების დარაზმვის და განმტკიცების შესაძლებლობას.

4. პირველ მუშათა ორგანიზაციას, რომელმაც ნათლად შეიგნო კლასიური ამოცანები, არ შეეძლო ობიექტიურ პირობების გამო (მრეწველობის სუსტი განვითარება, მუშათა ძალების დაქსაქსულობა და სხვა)—გამხდარიყო მასიურ პოლიტიკურ პარტიათ და ეს ორგანიზაცია ჩქარა დაიშალა.

5. მუშათა მოძრაობას 70-ან და 80-იან წლების დასასრულში სტიქიური თავდაცვის ხასიათი აქვს. რუსეთის პროლეტარიატის კლასიურ პარტიის დაარსებაზე ლაპარაკობენ ზოგიერთი მოწინავე მუშები, ინტუიციურად ხვდებიან რა მუშათა კლასის მომავალ როლის დიდ მნიშვნელობას რუსეთის რევოლიუციის ისტორიაში (იხ. სიტყვა სასამართლოში პეტრე ალექსეევის და სიმონ აგანოვისა).

6. 1888 წელს შვეიცარიაში დაარსდა „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ყოფილმა „ნაროდოვოლცებმა" და უფრო გვიან „ჩერნოპერედელცებმა" (პლეხანოვმა, აქსელროდმა, ზასულიჩმა). ამ ჯგუფმა მიიღო საფუძვლად ისტორიის მარქსისტულად გაგება „კლასთა ბრძოლის პრინციპი გააშუქებს ისტორიასო". ერთხელ და სამუდამოთ აღიარებულია დებულება, რომ მუშათა განთავისუფლება უნდა იყოს თვით მუშების საქმე, რომ მომავალ რევოლიუციის დროს ხელმძღვანელ როლს ითამაშებს მუშათა კლასი და რომ ბრძოლის უმთავრეს საშუალებად ითვლება მასიური მოძრაობა. პარიზის კონგრესზე პლეხანოვმა 1889 წელს წარმოსთქვა დიდი წინასწარმეტყველური სიტყვები: „რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობა გაიმარჯვებს, როგორც მუშათა მოძრაობა, ან არასოდეს არ გაიმარჯვებსო".

7. შრომის განთავისუფლების ჯგუფმა მტკიცე თეორეტიული საძირკველი ჩაუყარა რევოლიუციონურ პროლეტარულ პარტიას და ეს ჯგუფი არის რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მამათმთავარი. შრომის განთავისუფლების ჯგუფის გვერდით მრავალ სამრეწველო ქალაქებში აღმოცენდენ სოციალ-დემოკრატიული მუშათა წრეები. ეს წრეები მცირე რიცხოვანი იყვენ, მასებთან მათი კავშირი სუსტი იყო, ისინი ძალიან ჩქარა იშლებოდენ, მაგრამ საერთოდ ეს წრეები იყვენ მომავალ სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის ჩანასახები.

8. 80-იან წლებს ახასიათებს სამრეწველო და აგრარული კრიზისი და პოლიტიკური რეაქცია, მუშათა მოძრაობის სუსტი გასაქანი და სტიქიური ხასიათი თავის გავლენას ახდენდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის განვითარებაზე, იგი ძალიან ნელა ვითარდებოდა, სოციალ-დემოკრატიულ აზრებს ითვისებდენ სხვა და სხვა წრეებში, ეს აზრი არ ფართოვდებოდა, არ იპყრობდა მუშათა მასებს.

9. 90-იან წლებში იწყება მუშაობა მთელ რიგ ქალაქებში მუშათა წრეების დასაარსებლად. ამ დროს მარქსისტები იწყებენ თეორეტიულ ბრძოლას „ნაროდნიკების" წინააღმდეგ და რამდენჯერმე ამარცხებენ მათ (1894-1895 წ.).

რევოლიუციონურ ახალგაზრდობის ფართო წრეებში ემჩნევა მარქსიზმისაკენ ერთბაში გადახრა.

10. 1891 წლის სიმშილობა ართულებს მუშათა კლასის მდგომარეობას და ერეკება მათ ბრძოლისაკენ. 90-იან წლებში ფართო ხასიათს ღებულობს საგაფიცვო მოძრაობა. კრიზისის შემდეგ დაწყებულ ეკონომიურ აღორძინებას შედეგად მოჰყვა ფაბრიკა-ქარხნების რიცხვის ჩქარი ზრდა, რკინის გზების გაყვანა და სამრეწველო ცენტრების განვითარება. იქმნება ნიადაგი მუშათა ფართო მოძრაობისათვის.

11. მასიური საგაფიცვო მოძრაობა ვრცელდება დიდ ქალაქებში: პეტერბურგს, მოსკოვს, ივანოვო-ვოზნესენსკში და სხვაგან.

1895 99 წ. გაფიცულთა რიცხვი 450 ათას კაცამდე აღწევს. იქმნება პირობები, რომელშიაც სოციალ-დემოკრატია მუშაობს და ფართოვდება, წრეებში საპროპაგანდო მუშაობიდან გადადიან მასებს შორის აგიტაციის წარმოებაზე.

12. 1895 წელს არსდება „მუშათა კლასის განმათავისუფლებელი კავშირები" პეტერბურგში (95 წ.), მოსკოვში (96 წ.), ხარკოვში, ეკატერინოსლავში და კიევში (97 წ.). ამავე დროს არსდება და ყალიბდება საზღვარ გარედ რუსების და სოციალ-დემოკრატების ბუნდ-კავშირი (რომელშიაც შედის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი) ისმება მორიგი ამოცანა ყველა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების ერთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანებისა.

13. 1898 წელს ქ. მინსკში იკრიბება პირველი ყრილობა. იქ იყვენ პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ეკატერინოსლავის (ბრძოლის კავშირის) ბუნდის და მუშათა გაზეთის წარმომადგენლები. პირველმა ყრილობამ გამოუშვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მანიფესტი, შეიმუშავა საორგანიზაციო წესდება, აირჩია ცენტრალური კომიტეტი. ამ ყრილობამ საფუძველი ჩაუყარა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მაგრამ პარტია კი ვერ დააარსა.

14. 1897—1900 წლებში სოციალ-დემოკრატებს შორის ძალიან ძლიერი იყო ეკონომიური მიმდინარეობა.

ამ მოძღვრების შინაარსი შემდეგში მდგომარეობდა: ეკონომისტები ამტკიცებდენ, რომ რუსეთის მუშების წინაშე, მისი შეუგნებლობის გამო, უნდა დაისვას მისთვის გასაგები ამოცანები, რომელიც მის ეკონომიურ მდგომარეობას ეხება. ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, პოლიტიკურ უფლებების მოპოვებას და ამისათვის კი პროლეტარულ პარტიის დაარსებას ისინი ნაადრევად სთვლიდენ, ხოლო ზოგიერთებს სრულიად საჭიროთ არ მიაჩნდათ ეს.

15. რათა შექმნილიყო რევოლიუციონურ-დემოკრატიული პარტია, საჭირო იყო ეკონომიზმის მოსპობა, მისი უბადრუკობის და მავნებლობის გამოაშკარავება, რამდენადაც იგი აბნელებდა პროლეტარიატის კლასიურ თვითშეგნებას. შრომის განთავისუფლების ჯგუფმა დაიწყო დაუზოგავი ბრძოლა ეკონომიზმის წინააღმდეგ და ამგვარად ჩამოაყალიბა მასთან ბრძოლის ამოცანა: „ეკონომისტების წინააღმდეგ ბრძოლა არის ბრძოლა თანამედროვე რუსეთში სოციალ-დემოკრატიის არსებობისათვისო".

16 1890 წელს ლენინმა, მარტოვმა და პოტრესოვმა მოაწყვეს საზღვარგარეთ „ისკრას" ჯგუფი, რომელშიაც შევიდენ „შრომის განთავისუფლების" ჯგუფიც, პლეხანოვიც, აქსელროდიც და ზასულიჩიც. გაზეთი „ისკრა" და ჟურნალი „ზარია" გახდენ რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა აზროვნების ცენტრათ, როდესაც დაუზოგავი ბრძოლა სწარმოებდა ყოველგვარ წვრილ-ბურჟუაზიულ და ლიბერალურ-შემთანხმებელ მიმდინარეობის და მარქსის რევოლიუციონური თეორიის დამახინჯების წინააღმდეგ. ამ ჯგუფის გარშემო იწყეს თავის მოყრა ყველა რევოლიუციონურმა სოციალ-დემოკრატიულმა ძალებმა.

17. 1900-1902 წ. წ. ფართო მასიურ რევოლიუციონურ მოძრაობით ხასიათდება. ეს წლები აღნიშნული არიან სამრეწველო კრიზისით, რომელმაც არაჩვეულებრივი საგაფიცვო მოძრაობა გამოიწვია. გაფიცვები პოლიტიკურ ხასიათს იღებენ. რამოდენიმე ათეული ათასი მუშა წითელი დროშების ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დემონსტრაციას მართავენ. ამავე დროს მუშათა მოძრაობას გლეხობის მოძრაობაც უერთდება (განსაკუთრებით პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში).

18. ასეთ, ობიექტიურათ ხელსაყრელ პირობებში „ისკრა"-ს მუშაობა გამალებულ ტემპით მიმდინარეობს. იწყება წინასწარი მუშაობა მე-2-ე ყრილობისათვის, რომელიც 1903 წელს მოწვეული იყო ჯერ ბრიუსელში და შემდეგ ლონდონში. ამ ყრილობას 43 დელეგატი დაესწრო. მიღებული იყო პროგრამმა და პარტიის წესდება.

19. დასრულდა რა პარტიის ორგანიზაციის პროცესი, მე-2 ყრილობამ საფუძველი ჩაუყარა პარტიის ფარგლებში ბრძოლას. ყრილობის ბოლოს ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის საორგანიზაციო კითხვების გარშემო უთანხმოებამ იჩინა თავი. უთანხმოების საგანი იყო კითხვები—ვინ ჩაითვალოს პარტიის წევრათ და—ლიბერალურ პარტიებისადმი დამოკიდებულება. მე-2 ყრილობის შემდეგ ბოლშევიკებისა და მენშევიკების ურთიერთ შორის ბრძოლა მწვავდება და გათიშვით თავდება.

20. 1905 წლის გაზაფხულზე მოწვეული იყო მე-3 ყრილობა, რომელზედაც მენშევიკები არ გამოცხადდენ. მათ თავისი კონფერენცია გამართეს. ამ დროს რევოლიუციონური ბრძოლა ფართოთ გაიშალა, რევოლიუციონური ტალღა რუსეთის მთელს სივრცეს მოედო და ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება დღის ლოზუნგათ გადაიქცა.

21. პარტიის წინაშე, რომელიც არალეგალურ მდგომარეობიდან ჯერ არ იყო გამოსული, რთული საკითხი დაისვა: როგორ მიუდგეს რევოლიუციის მსვლელობას, როგორ აირჩიოს გზა ისე, რომ რევოლიუციის ტალღამ არ წალეკოს პარტია, რომ ეს მოძრაობა გამოყენებულ იქნას მუშათა ფართო მასსების სასარგებლოთ. ბოლშევიკებმა გარკვეული რევოლიუციონური გზა აიღეს: შეიარაღებული აჯანყება, რევოლიუციის ბოლომდე მიყვანა და პროლეტარიატისა და გლეხობის სრული კონტაქტი.

მენშევიკები კი ლიბერალურ ბურჟუაზიასთან შეერთებას ქადაგებდენ, უარჰყვეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარება, მუშათა დეპუტატების საბჭოს არა ხელისუფლების ორგანოებათ სთვლიდენ, არამედ უპარტიო პროლეტარულ ორგანიზაციებათ და პროლეტარიატის რევოლიუციონურ პარტიის მაგიერ „მუშათა ფართე პარტიის" შექმნას ჰლამობდენ.

22. 1906 წლის სტოკჰოლმის ყრილობაზე ბოლშევიკები მენშევიკებს შეუერთდენ და პარტიაში უმცირესობას შეადგენდენ. 1907 წლის ლონდონის ყრილობაზე ბოლშევიკები ხელახლა უმრავლესობათ ხდებიან, რევოლიუციის განმავლობაში პარტია მეტათ გაიზარდა. ლონდონის პარტიულ ყრილობას 150 ათას წევრთა დელეგატები დაესწრო.

ბოლშევიკებისა და მენშევიკების შორის ბრძოლა სულ უფრო და უფრო მწვავდება და რეაქციის ხანაში სრული განხეთქილება ჩამოვარდება.

23. რევოლიუცია ჩაქრობილი იქნა და პარტია იძულებული შეიქნა ფართო რევოლიუციონური გზიდან გადასულიყო არა ლეგალურ მდგომარეობაზე და ხელი მოეკიდა რევოლიუციონურ ძალთა ორგანიზაციისათვის. ბოლშევიკებმა იცოდენ, რომ რევოლიუცია აუცილებელი იყო და დარჩენ თავიანთ სადარაჯოზე. ხოლო მენშევიკებმა უარი სთქვეს რევოლიუციონურ არალეგალურ მუშაობაზე და მოითხოვეს მისი ლიკვიდაცია.

24. 1908 წლის დეკემბერში სრულიად-რუსეთის კონფერენციაზე ბოლშევიკები ერთხელ კიდევ ცდილობენ მენშევიკებთან გაერთიანებას, მაგრამ მენშევიკები თავს არ ანებებენ თავიანთ ტაქტიკას და იწყება ბრძოლა ლიკვიდატორობასთან. ბოლშევიკების ბრძოლა პროლეტარული პარტიისათვის ამ წლებში ძნელი და რთულია. ბოლშევიკებს შორისაც ჩნდებიან სხვა და სხვა გვარი მიმართულებანი („პრიმირენცები", „ოტზოვისტები", „ულტიმატისტები").

25. 1912 წლიდან ლენის მუშების დახვრეტის შემდეგ მთელს რუსეთში იწყება გაფიცვები და მოძრაობას კვლავ წითელი ელფერი ეძლევა. იწყება აშკარა რევოლიუციონური მუშაობა. გამოდის ლეგალური გაზეთები „ზვეზდა", „პრავდა". ბოლშევიკები აძლიერებენ თავიანთ გავლენას. 1914 წელს რევოლიუციონური მოძრაობა ძლიერდება და ივლისში პეტერბურგის პროლეტარიატი გამოდის იარაღით ხელში და აღმართავს ბარრიკადებს.

26. დაწყებული ომი აჩერებს რევოლიუციონურ მოძრაობას. ყველა მებრძოლ სახელმწიფოებში სოციალ-დემოკრატიული პარტიები გადადიან ბურჟუაზიის მხარეზე, მე-II-ე **ინტერნაციონალი** იშლება. მენშევიკები გარკვეულად მხარს უჭერენ ყვითელ ინტერნაციონალს. ბოლშევიკები ომს უცხადებენ, აყენებენ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგს და არა ლეგალურად რაზმავენ პროლეტარიატის მოწინავე რიგებს.

27. აბსოლიუტიზმის დამხობის შემდეგ პარტიის წინაშე წამოიჭრა სოციალიზმისათვის უშუალო ბრძოლის ამოცანა. თებერვლიდან ოქტომბრამდე ბოლშევიკური პარტია აწარმოებს ბრძოლას ძალა უფლების ხელში ჩაგდებისათვის. ოქტომბერში ის უკვე აშენებს პროლეტარულ სახელმწიფოს. 1918 წელს პარტიის მე-7-ე ყრილობაზე უკვე ის თავის თავს უწოდებს ბოლშევიკების კომუნისტურ პარტიას.

1919 წ. მე-8-ე ყრილობაზე მტკიცდება პარტიის პროგრამა და წესდება.

28 18 და 19 წლებს ახასიათებს გააფთრებული სამოქალაქო ომი. პარტია თავგანწირულად იბრძვის ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის შენარჩუნებისა და საბჭოთა რესპუბლიკის არსებობისათვის. ეს წლები შეადგენენ სამხედრო კომუნიზმის ეპოქას. პარტია, გარსშემორტყმული ყოველი მხრიდან, გმირულად იბრძვის და ქმნის მსოფლიოში ჯერ არ არსებულ წითელ არმიას, პროლეტარული რევოლიუციის დასაყრდნობ ძალას და სიამაყეს.

29. მაგრამ ის ზე-კაცური ღონისძიებანი, რომელიც იხარჯება დაუბოლოვებელ ფრონტებზე უამრავ მტრების დასაძლევად და აგრეთვე იმპერიალისტური ომის შედ იწვევენ სახელმწიფოს მეურნ სრულ განადგურებას.

30. ამიტომ, მაშინათვე სამოქ ქო ომის დასრულებისას მე-10-ე ყ ლობაზე 1921 წელს პარტია მ თავის ყურადღებას აქცევს მეურ ბის აღდგენას. იქმნება ახალი ე ეკონომიური პოლიტიკის, რომე აძლევს ფართო სარბიელს მრავ მილიონიან გლეხთა მასების ინი ტივას. სწორედ აღებული გზ ხელმწიფოს ასაღორძინებლად იძლ თვალსაჩინო შედეგებს.

31. მე-XI-ე ყრილობა ჯამს თებს მიღწევებს, სთვლის „უკან ხევას" კანონიერად, მაგრამ ყრობილ პოზიციებზე. ეხლა მთ ყურადღება ექცევა როგორც ტიის, ისე მხარის კულტურულ ნის ამაღლებას. 22 და 23 წარმოადგენენ სწავლების წლებ

32. კომუნისტური პარტია, ამ რა ძველის ნაცვლად ახალ სო ლისტურ ქვეყანას და აღიარებ რომ მხოლოდ მსოფლიო მასშტ შეიძლება პროლეტარიატის სამ გამარჯვება, თავის ბატონობის ველ დღეებშივე აარსებს

მე-III-ე ინტერნაციონალს.

ეს **ინტერნაციონალი** აერთი ყველა ქვეყნის კომუნისტურ ტიებს. ხოლო ყველას მიერ წინამძღოლს, მის სულს წარმოად რუსეთის კომუნისტური პარტია.

33. ამ რიგად, მეოთხედი საუკ განმავლობაში ჩვენი პარტია, მოებდა რა დაუღალავად ბრძ მუშათა კლასის განთავისუფლებ ვის, ერთგულად ემსახურებოდა ვოლიუციონური მარქსიზმის პ პებს და მან მიიყვანა მუშათა სრულ გამარჯვებამდე. „ბრძოლა, მელშიაც პროლეტარიატი ჰკარ მხოლოდ თავის ხუნდებს და იპ მთელს მსოფლიოს", **მარქსის** ბრძნული სიტყვები განხორციე ამაყად და ძლიერად წელში გ თული სდგას რუსეთის პროლე ტი წითელი დროშით ხელში, შით, რომელიც შეღებილია ს ლიზმისათვის მებრძოლთა სისხ და პირველ რიგებში მისი ბე რუსეთის **კომუნისტური** პარტია.

ტფილისის კომიტეტის საგიტ საპროპაგანდო განყოფილება.

ამიერ-კავკასიის ეკონომიური თათბირი

(მე-4 და მე-5 პლენარული სხდომები)

ამხ. თუმანოვის მოხსენება

მეოთხე და მეხუთე სხდომები თათბირმა მოანდომა ამიერ-კავკასიის ფინანსიურ პოლიტიკის საკითხს და მის გარშემო გამართულ კამათს. მომხსენებელი იყო ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარი ამხ. თუმანოვი, რომელმაც დააყენა პრინციპიალური ხასიათის საკითხი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის და ძირითადი ხასიათის ამოცანების შორის შესაძლებელ წინააღმდეგობათა შესახებ. ამხ. თუმანოვი დაასკვნის, რომ წინაამდეგობა არ არის.

საბჭოთა რესპუბლიკების საქონლის მეურნეობა აღორძინებას იწყებს და ამ მიმართულებით მუშაობა არის გადაუდებელი ამოცანა. მაშასადამე ფულის ტრიალის და ბაზრის საკითხები უნდა დაედვას საფუძვლად სამეურნეო აღმშენებლობას.

კაპიტალიზმის სამეურნეო ტეხნიკით, ამხ. თუმანოვის აზრით, ჩვენ უნდა ვისარგებლოთ, ისევე როგორც გამოყენებული იქნა ბრძოლის დროს სამხედრო ტეხნიკა. მოხსენება შეეხო ფულის რეფორმის, ბიუჯეტის, ბანკების, საგარეო ვაჭრობის და კრედიტების საკითხებს.

კამათი.

გამართულ კამათის დროს ამხ. ათაბეგოვმა მიუთითა ფულის ნიშნების უნიფიკაციის საკითხზე. ამ მიმართულებით მუშაობა აუცილებელია ისევე, როგორც მტკიცე ვალიუტის შექმნისაკენ, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ოქროთი და საქონლით, რუსეთის ბანკნოტებისდაგვარად.

ამხ. ბალიანმა, განჩაროვმა და სხვებმა ილაპარაკეს მრეწველობის დაბეგვრაზე, გონჩაროვის აზრით დაბეგრილ უნდა იქნეს მხოლოდ ზედმეტი ნაწარმოები, რომელიც მრეწველობას მოეპოვება. ამხ. ივანოვმა და პოლოსამმა გაილაშქრეს ნატურალურ გადასახადის გაუქმების წინააღმდეგ! უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენების მთავარ დებულებების წინააღმდეგ არავის არ გაულაშქრია. თათბირი ირჩევს კომისიას მოხსენების გამო რეზოლიუციის შესამუშავებლად.

(6-ე პლენარული სხდომა)

ამხ. ერქომაიშვილის საბოლოო სიტყვა.

სხდომა იხსნება საღამოს 7 საათზე და 10 წუთ, ამხ. მიასნიკოვის თავმჯდომარეობით. საბოლოვო სიტყვა ვაჭრობის შესახებ ეძლევა ამხ. ერქომაიშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ სავაჭრო სექციის წევრთა უმრავლესობა დაეთანხმა მას, რათა მოეწყოს სახელმწიფოებრივი ვაჭრობა იმ საფუძვლებზე, რომლის პრინციპები მან უკვე მოახსენა თათბირს. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მას სურდა გაეფანტა ზოგიერთ ორატორების მიერ შექმნილი შთაბეჭდილება.

თანამომხსენებელი ამხ. ერქომაიშვილის აზრით, სცდებოდა, როდესაც ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ვაჭრობა არის ძველი მეთოდი, ხოლო [illegible] ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს მსგავს ორგანოს დაარსება- ამხ. ერქომაიშვილი ხედავს წინააღმდეგობას.

უპასუხებს რა ამხ. გრიგორიანს, მომხსენებელს მოჰყავს სომხეთის მიწათ მოქმედების სახ. კომისარიატს გააქვს მოსკოვში სასოფლო მეურნეობის პროდუქტები და ჰყიდის იმავე რესპუბლიკის ორგანიზაციაზე. მოწყობილი სახელმწიფოებრივი ვაჭრობა ამას, რა თქმა უნდა, არ დაუშვებს. ამ საზოგადოებათა შესახებ ამხ. ერქომაიშვილი ამტკიცებს, რომ ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ აუხვევს გვერდს „მიურ და მერილიზს". ეს უბრალოდ აიხსნება. ბონების ფასი ეცემა და სხვა და სხვა საქონელი თამაშობს გაცვლა-გამოცვლის როლს. მაგალითად მეცხვარეთა საზოგადოებას აქვს წუმწუმაც, საპონიც და სხვა პროდუქტებიც. იგივეა სახ. ვაჭრობის და სხვა სამეურნეო ორგანოებში. ვისაც სურს ივაჭროს, იმან უნდა გასცვალოს თავისი პროდუქტები სხვა საქონელზე. ამხ. პადერინმა კამათის დროს განაცხადა, რომ კოოპერაციულ კავშირს შეუძლია შეაკავშიროს ტრესტები მომხმარებლებთან.

ამხ. ერქომაიშვილის პასუხი ამ მხრივ მდგომარეობს იმაში, რომ კოოპერატივს არ აქვს უფლება გაილაშქროს სახელმწიფო ორგანიზაციების ვაჭრობის წინააღმდეგ. ყველა სასოფლო საზოგადოებანი, რომელთაც აქვთ სარეალიზაციო საქონელი, უსათუოთ უნდა მიმართონ სახელმწიფოს ორგანიზაციებს იმიტომ, რომ მათ ამ საქონლის გასანაღდებლად არა აქვთ არც საშუალება და არც უფლებრივი შესაძლებლობანი.

იმ 12 ათას დარაბების შესახებ, რომელიც ტფილისში არსებობს ამხ. ერქომაიშვილი უპასუხებს რა ამხ. სმირნოვს, აცხადებს, რომ კერძო ვაჭრობა იმ სახით, რა სახითაც დღეს არსებობს იარსებებს მომავალშიაც. ამით ათავებს ის საბოლოვო სიტყვას.

რეზოლიუციების განხილვა და მიღება.

შემდეგ სავაჭრო სექცია ადგენს ერთ რეზოლიუციას საგარეო ვაჭრობის შესახებ და ორ რეზოლიუციას შინაურ ვაჭრობის შესახებ.

რეზოლიუცია საგარეო ვაჭრობის შესახებ ერთხმათ იქნა მიღებული.

რეზოლიუცია შინაურ ვაჭრობის შესახებ აგრეთვე იქნა მიღებული უმრავლესობით მცირეოდენი მსჯელობის შემდეგ.

სამრეწველო—სატრანსპორტო სექცია ადგენს თავის რეზოლიუციებს: 1) საამომღებლო და დამმუშავებელ მრეწველობის შესახებ, 2) სამთო-მადნო სიმდიდრეების და ელექტროფიკაციის შესახებ, 3) გზების შესახებ და 4) საუღელტეხილო რკ. გზის შესახებ. შემოდის წინადადება რათა ყველა რეზოლიუციებს ერთად ეყაროს კენჭი. ეს წინადადება არ გავიდა და თათბირი შეუდგა თვითეული რეზოლიუციის ცალ-ცალკე განხილვას.

კამათს ამ საკითხის გარშემო ეძლევა ვიწრო სპეციალური ხასიათი სხვა და სხვაგვარ შესწორებების და დამატებათა შეტანის შემდეგ რეზოლიუციები მიღებულ იქნა.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. კანდელაკს რომელიც მოახსენებს თათბირს სასოფლო მეურნეობის სექციის შესახებ, რომელმაც შეიმუშავა შემდეგი რეზოლიუციები:

1) მელიორაციის შესახებ, 2) მებამბეობის შესახებ, 3) საქონლის გაშენების შესახებ, 4) მევენახეობა—მეღვინეობის შესახებ, 5) ხეხილის მოშენების და მებოსტნეობის შესახებ, 6) ძვირფასი კულტურის, ჩაის, თამბაქოს, აბრეშუმის და სხვ. შესახებ. სექციამ მოისმინა მოხსენებები ამ ძირითად საკითხების შესახებ, და რამდენიმე მოხსენებანი სხვა ისეთ საკითხების შესახებ, რომელიც პროგრამაში არ შედიოდა: მოსკოვის გამოფენაში რესპუბლიკების მონაწილეობის, სასოფლო-სამეურნეო გამოფენის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, სასოფლო მეურნეობაში ავიაციით სარგებლობის შესახებ. რადგან ყველა ეს რეზოლიუციები არ შეიძლებოდა ერთად ყოფილიყო განხილული, თათბირი ცალ-ცალკე იხილავს თვითეულ რეზოლიუციას. დაწვრილებითი განხილვის შემდეგ რეზოლიუციები ზოგიერთი შესწორებით იქნა მიღებული.

შემდეგ ამხ. თუმანოვი აქვეყნებს საფინანსო კომისიის რეზოლიუციას. რეზოლიუცია თეზისების სახით ერთხმად იქნა მიღებული თათბირის მიერ.

შემოვიდა ამხ. ათაბეგოვის წინადადება, არჩეულ იქნას 5 წევრისაგან შედგენილი კომისია რეზოლიუციებში სარედაქციო შესწორებების შესატანად. ირჩევენ სარედაქციო კომისიას ამხ. მიასნიკოვის, ჰუსეინოვის, ივანოვის, კანდელაკის და ავაქოვის შემადგენლობით.

შემდეგ თავმჯდომარე ამხ. მიასნიკოვი აცხადებს, რომ საორგანიზაციო საკითხი მოხსნილია და ეკონომიურ თათბირის დღის წესრიგში სხვა საკითხები არ არისო. სხდომის დახურვის წინ ამხ. მიასნიკოვი გამოსთქვამს სურვილს რამოდენიმე სიტყვა სთქვას თათბირის მუშაობის და მისი შედეგების შესახებ.

ამხ. მიასნიკოვის სიტყვა.

ამხ. მიასნიკოვს გაჰყავს პარალელი 1921 წლის ეკონომიურ თათბირის და ამ თათბირის შორის და გამოსთქვამს სურვილს, რათა ამ თათბირის მუშაობა არ დაკარგულიყოს უნაყოფოთ, როგორც ეს მოხდა პირველი თათბირის შემდეგ. შემდეგ ამხ. მიასნიკოვმა დაახასიათა ის პერიოდი, რომელმაც განვლო ამ ორ თათბირის შორის. ეკონომიურ ცხოვრების პირობები ძალიან შეიცვალა, დაქსაქსულება რესპუბლიკებს შორის აღარ არსებობს უმაღლესი ეკონომიური საბჭო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებამდეც არსებობდა, მაგრამ მისი როლი სხვა გვარი იყო. ის არ შესდგომია საორგანიზაციო მუშაობას, აწარმოებდა მხოლოდ მიმდინარე სამეურნეო მუშაობას, იმისდა მიხედვით თუ წამოიჭრებოდა სამეურნეო მუშათა საკითხები; საკითხებს საკავშირო საბჭო კი არ იხილავდა, არამედ უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

დღევანდელი ეკონომური თათბირი, რომელიც დღეს იხურება, მოწვეულია იმისათვის, რათა მოგვაწოდოს მასალები ამიერ-კავკასიის ეკონომიური აღდგენისათვის. ამ თათბირზე არ იყო გამოთქმული ის აზრი, რომ მას ერთბაშათ შეუძლია იმის მიცემა, რისთვისაც საჭიროა მთელი თვეების და წლების მუშაობა. ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭო თავიდანვე ფიქრობდა, რომ ეკონომიური თათბირი თავს მოუყრის ქვეყნის სპეციალისტების საუკეთესო ძალებს, მოისმენს მათ რჩევას და სისრულეში მოიყვანს მის მიერ შემუშავებულ რეზოლიუციებს. ეს თათბირი იძლევა დიდებულ მასალას, რომელიც გვაძლევს საშვალებას, წარმოდგენა ვიქონიოთ ამიერკავკასიის სამეურნეო ცხოვრებაზე. ეკონომიური თათბირის ვრცელი ანგარიშები ახლო მომავალში გამოიცემა. ამ ანგარიშებში მოთავსებული იქნება მოხსენებები, პლენუმებსა და სექციებში, კამათი, სტატისტიკური მრეწველობის საკითხში ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, ზოგი საკონცესიო დარგისა და ზოგს კი საჭიროა დახმარება გაუწიოს. სასოფლო-მეურნეობის დარგში უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ძვირფას კულტურას. მესამე საკითხია—საფინანსო პოლიტიკა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს საგადასახადო პოლიტიკის თვალსაზრისით. და ის მასალა, რომელსაც ეკონომიური თათბირი იძლევა არის ძვირფასი ჩვენთვის. ბოლოს უკანასკნელი საკითხია—სამეურნეო ორგანიზაციის და ფორმების საკითხი. დღის წესრიგიდან ეს მოხსენება მოხსნილია. ამ მოხსენებას მხედველობაში ქონდა თქვენთვის მოეწოდებია ის საორენტაციო ხაზი, რომლის მიხედვითაც უნდა მივმართოთ ჩვენი სამეურნეო პოლიტიკა—ეს არის უმაღლესი ეკონომიური საბჭო. მეფის თვითმყრობელობის დროს ამიერკავკასია წარმოადგენდა კოლონიას პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით. ამიერ-კავკასიის კოლონიალობის საკითხი დღეს თავის თავად იხსნება, მაგრამ ასე ვსთქვათ ეკონომიურ დარგში კოლონიალური ჯერ კიდევ რჩება. ძირითადი ამოცანა არის ის, რომ ამიერკავკასია გამოყვანილ იქნას ამ ეკონომიურ კოლონალობის მდგომარეობიდან. და მაშინ შესძლებს იგი საკუთარი სამეურნეო წვლილი შეიტანოს ყველა საბჭოთა სოც. რესპუბლიკების საერთო სალაროში. ამიერკავკასიის სახ. კომისართა საბჭოს სახელით ამხ. მიასნიკოვი გამოსთქვამს სურვილს რათა მომავალი მეორე და მესამე ეკონომიურ თათბირების მუშაობას კიდევ უფრო მეტი შედეგები მოეტანს. „მეორეჯერ, ამბობს ამხ. მიასნიკოვი, ჩვენ ერთმანერთს შევხვდებით უმთავრესად იმისათვის, რომ ერთმანერთს უთხრათ რა გავაკეთეთ გასული დროის განმავლობაში. რა თქმა უნდა ჩვენ დაუშვებთ შეცდომებს. მოდი გავასწოროთ ეს შეცდომები და ამავე დროს გამოვიტანოთ ახალი რეზოლიუციები, რომელიც კიდევ უფრო ააყვავებს ჩვენ მეურნეობას და განამტკიცებს ამიერკავკასიის საბჭოთა აღმშენებლობას და საბჭოთა ხელისუფლებას".

ღამის 11 საათზე და 15 წ. იხურება ეკონომიური თათბირის უკანასკნელი სხდომა.

ამ დაადგინა მოაწყოს 8 მარტს ტფილისის ქუჩებში დემონსტრაცია. სხდომა იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

ამხ. ამხ. ლეჟავას, ბიბინეიშვილის, გოლუბევას და დალნაიას მოხსენებების მოსმენის გამო ტფილისის მაზრის სოფლების მშრომელი ქალები და ქ. თბილისის მუშა ქალები, რომლებიც შეიკრიბნენ უპარტიო ქალთა მეორე კონფერენციაზე 8 მარტს,—მუშა-ქალთა საერთაშორისო დღეს, მხურვალედ ვესალმებით საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც გაგვანთავისუფლა ჩვენ საუკუნოებრივ დაბეჩავებისაგან. მზათ ვართ ყველა ჩვენი ძალები მოვახმაროთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების განმტკიცებას და დახმარება გაუწიოთ ჩვენ ძმებს სახალხო მეურნეობის აღდგენაში.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც გაანთავისუფლა მშრომელი ქალები!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას მთელს მსოფლიოში!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის მებრძოლ შტაბს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ქალთა დემონსტრაცია.

ამხ. გოლუბევას წინადადების გამო კონფერენციამ დაადგინა მოაწყოს 8 მარტს ტფილისის ქუჩებში მუშაქალების ორგანიზაციულ ძალების დემონსტრაცია.

სხდომის დახურვა.

სხდომის დახურვისას ამხ. დალნაია თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ დროს მშრომელ ქალთა მასებს ემჩნევათ საგრძნობი მომწიფება და სიმტკიცე.

სხდომა იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

პარტიული ცხოვრება

რკინის გზათა სამმართველოს კომუჯრედებში

პარასკევს, 2 მარტს რკინის გზის სამმართველოს კომუჯრედის მორიგ ღია სხდომაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: მოხსენება მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ და მოხსენება ქალაქ თბილისის და მაზრის კომუნისტურ ორგანიზაციების მე-4 კონფერენციის შედეგებზე. მუშა-ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დიაკონენკომ. მან ილაპარაკა კოპენჰაგენის სოციალისტურ კონფერენციის შესახებ, სადაც გერმანიის კომუნისტურ პარტიის ლიდერის ამხ. კლარა ცეტკინას წინადადებით მიღებულ იქნა ევროპის ყველა ქვეყნებში მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის დაწესება. ამხანაგმა განმარტა ამ დღის მნიშვნელობა და რუსეთის მუშა-ქალთა მოძრაობა 1917 წელში 1921 წლიდან ამ დღესასწაულის დაწესების შესახებ ამიერ კავკასიაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

შეკითხვებზე მომხსენებელმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი და დასასრულს უჯრედმა გამოიტანა რეზოლიუცია:

მოისმინა რა ამხ. დიაკონენკოს მოხსენება მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ, რკინის გზის სამმართველოსთან არსებული კომუჯრედი მიესალმება საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც გაანთავისუფლა მუშა-ქალი და მისცა მას თანასწორი უფლებები. უსურვებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს მომავალში უფრო ფართოდ ეწარმოებიათ მუშაობა ქალთა შორის. ახსნა განმარტებით იმის შესახებ, რომ ის ისეთივე სრულუფლებიანი მოქალაქეა, როგორც მამაკაცი და უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა მამაკაცთან ერთად კაპიტალის დასამხობათ, რომლის დამხობა მოასწავებს მთელი ქვეყნის ქალთა გამარჯვებას და მათ სრულიად განთავისუფლებას საერთაშორისო კაპიტალის უღლისაგან.

თბილისის პარტიულ კონფერენციის შედეგებზე მოხსენება გააკეთა ამხ. კალანდიამ. მან ილაპარაკა კონფერენციაზე განხილულ ყველა საკითხების შესახებ და დაწვრილებით შეჩერდა თბილისის კომიტეტის ანგარიშზე და საქართველოს კომუნისტურ პარტიის მორიგ ამოცანებზე.

გამოტანილ რეზოლიუციაში კომუჯრედი თბილისის კომიტეტის მიერ აღებულ ხაზს თვლის სწორად და მის მუშაობას დამაკმაყოფილებლად.

უსურვებს ახალ კომიტეტს იმავე მიმართულებით მუშაობას პარტიულ აღმშენებლობის გასაუმჯობესებლათ და განსამტკიცებლათ მუშათა კლასის საკეთილდღეოდ.

ინფ.-კორ. ვახილიევი.

ეკონომიური ცხოვრება

ფასების დამფასებელი კომისიის კურსი.

8 მარტი.

ოქროს 10 მან.—5350 ათ. გირვანქა სტერ.—ეფექტივი—4080 მან. გირვ. სტერლინგი ჩეკები—3.525. ოსმალ. ქაღალ. ლირა—565. საბჭოთა ფულის ნიშნები—18,5.

ბირჟის საქონლის განყოფილებაში

8 მარტი.

მოთხოვნილება.—თეთრი თუნუქი, კალა, შევიოტი № 3001., საბზა, ქიშმიში, ჰერამი, ვანილი, მავლული №14.

მიწოდება. — ბურღული, შაქრის ფხვნილი, სპარსული გამხმარი ხილი, შაბიაბანი, ინგილისის 1.ფირმა „კორონას"ი, აბრეშუმის თესლი ფრანგული თეთრი და ბაღდათური. კარდონი № 70, 80 და 90. ტყავი ნედლი, მშრალი ნედლი დამარილებული, რკინა, მინა ბემის.

ტფილისის ბაზარზე.

8 მარტი.

ბირჟის საქონლის განყოფილების ცნობების თანახმად, ხორბლეულის და პურის პროდუქტების ფასები ეცემა. შაქრის ფასი უცვლელია.

ნედლი მასალის მთავარი კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საინფორმაციო განყოფილება იუწყება, რომ რუსეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გამოიმუშავა პროექტი ნედლი მასალის საკითხის შესახებ, თანახმათ სრ. რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის სესიის დადგენილებისა. პროექტის თანახმათ მრეწველობის ნედლი მასალით უზრუნველყოფისათვის უმთავრეს ზომას სრ. რუ. ცენტრ. აღმასკომთან არსებულ სასოფლო მეურნეობის აღდგენის კომიტეტის დამატებათ ნედლი მასალის მთავარი კომიტეტის დაწესება წარმოადგენს ნედლი მასალის მთავარი კომიტეტი შრომისა და დაცვის საბჭოსთან შესდგება. კომიტეტში შევლენ სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს, მიწათ-მოქმედების, ფინანსთა, სასურსათო, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების, სასოფლო მეურნეობის კავშირის, კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირისა და დაინტერესებულ სამრეწველო დარგების წარმომადგენლები. მთავარ კომიტეტს ეძლევა უფლება ნედლი მასალის ადგილობრივ და აგრეთვე, ტეხნიკურ მნიშვნელობის ცალკე სასოფლო-სამეურნეო კულტურების კომიტეტების დაწესებისა.

ნედლი მასალის მთავარ კომიტეტის განკარგულების ქვეშ უნდა შესდგეს სპეციალური ფონდი ტეხნიკურ კულტურების გავრცელებისათვის სესხის გასაცემათ.

ქრონიკა

მენშევიკების საიდუმლო სტამბის აღმოჩენა

— **რევოლიუციონური წესრიგის დამცველ ორგანომ აღმოაჩინა კარგად მოწყობილი საიდუმლო სტამბა მენშევიკებისა, სადაც იბეჭდებოდა მათი არა ლეგალური გამოცემები და სხვათა შორის ეგრედ წოდებული „რუსი მოსახლეობის კომიტეტის" ფურცლები. დაწვრილებით ხვალ.**

საქართველოს ცენტ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმში.

— **ქალაქებში მიწად-მოწყობის წესდების პროექტი.** სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარის ამხ. სტურუას მოხსენების თანახმად, დაამტკიცა რესპუბლიკის ქალაქებში მიწად-მოწყობის წესდების პროექტი. პროექტი საბოლოო რედაქციისათვის და დასამუშავებლად გადაეცა იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

— **ზუგდიდის თეატრისათვის.** პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა მოქ. ჭედიას სახლის სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადების შესახებ ზუგდიდის თეატრის შიგ მოსათავსებლად.

ხაბუმის სკოლისათვის. პრეზიდიუმმა აგრეთვე დააკმაყოფილა შინ. საქ. სახ. კომ. შუამდგომლობა ხაბუმის თემის საჭიროებისათვის მოქ. დადიანის სახლის სახელმწიფო კუთვნილების გამოცხადების შესახებ.

— **შეფობის მიღება.** პრეზიდიუმმა მიიღო მესამე ცხენოსანთა პოლკზე შეფობა და დაადგინა ყოველ თვიურად შეფობის ქვეშ მყოფ ნაწილებს მიეცეთ დახმარების სახით 30 მილ. მანეთი.

— **ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.** პრეზიდიუმმა დაადგინა ყოველ თვიურად მიეცეს 50 მილიონი მან. ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების კომისიას.

თებერვლის რევოლიუციის 6 წლის თავი

(თეზისები)

(დასასრული. იხ. გაზ. „კომუნისტი" № 53)

1. კლასთა ბრძოლა რუსეთში, რომელმაც 1914 წლის ზაფხულისათვის ლეს მწვერვალს მიაღწია 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ და რომელიც შეწყვეტილი იქნა მსოფლიო ომის დაწყების გამო, ახლა ვითარდება 1915 წლის მეორე ნახევრიდან იმპერიალისტურ ომის გაძლიერებულ ეკონომიურ ნგრევის პირობებში და იწვევს 1917 წლის თებერვალში თვითმპყრობელობის დამხობას.

2. ამ დროისათვის რუსეთში საზოგადოებრივი ძალთა განწყობილება შემდეგნაირი იყო: გაბატონებულ კლასი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ე. ი. იმ კლასათ, რომელიც ხელისუფლების სათავეში უშუალოთ იდგა დარჩა დიდი მემამულეების, მიწათმფლობელთა კლასი, რომელიც დროს თავის მეურნეობის განმავლობაში წმინდა კაპიტალისტურ საფუძვლებზე გადაიდა და შეუერთდა მსხვილ სამრეწველო ბურჟუაზიას. კონტრრევოლიუციის პერიოდში 1907—1914 წ. საზღვარ-გარეთის კაპიტალის დახმარებაზე ვითარდებოდა რუსეთის მრეწველობა და ამ დროისათვის ჩამოყალიბებული ფინანსიური კაპიტალი, რამაც საძირკველი ჩაუყარა ახალ საზოგადოებრივ ფორმაციის—იმპერიალისტურ ბურჟუაზიის აღმოცენებას, რომელიც თავის პოლიტიკურ გამომხატველის „სახალხო თავისუფლების პარტიის" სახით ჩადგა „მის უდიდებულესობის ოპოზიციაში". გლეხობა, რომელიც წინანდებურად ჩამოშორებულ იქნა სახელმწიფოებრივ საქმეებზე ყოველგვარ ზეგავლენისაგან, პერიოდულად შიმშილობს და, როგორც წინად, სცდილობს მებატონის მიწის მიღებას. მუშათა კლასი ისევ რჩება რევოლიუციონურ მოძრაობის მებაირაღტრეთ და 1914 წლის ზაფხულში ხელახლა აყენებს დღის წესრიგში პოლიტიკურ რევოლიუციის საკითხს რევოლიუციონურ სოციალდემოკრატიის შეუკვეცელ ლოზუნგის ქვეშ.

3. 1914 წლის ომი აფერხებს რევოლიუციის განვითარებას, „დიდი რუსეთის" საერთო დროშის ქვეშ რაზმავს მემამულეების და იმპერიალისტური ბურჟუაზიის გაბატონებულ კლასებს და შოვინისტურ ბურუსში ახვევს გლეხობას, ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას და მუშათა კლასის ნაწილს. მაგრამ 1915 წელი უკვე არღვევს საერთო სამოქალაქო მშვიდობიანობის იდილიურ სურათს. ომით განაწამები გლეხობა, იმ ომით, რომელიც ართმევს მას მუშა ხელს, სამუშაო საქონელს და ანადგურებს მის მეურნეობას, იწყებს იდუმალ მღელვარებას. მუშათა კლასი, რჩება რა ერთგული მეფობის და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგისა, აშკარად გამოდის, როგორც რევოლიუციის მამოძრავებელი ძალა და სარგებლობს რუსეთის სინამდვილის ძირითად ჯგუფების კლასიურ წინააღმდეგობით, რომელმაც ომის დროს აშკარად იჩინა თავი.

რევოლიუციონურ მოძრაობას სპეციფიურ ელფერს აძლევს გაჭიანურებულ ომით გამოწვეული ჩუმი უკმაყოფილება არმიისა, რომელიც ერთგული დარაჯი იყო ტახტის და არსებულ წესწყობილების. რევოლიუციის ზეგავლენა ღრმად იდგამს ფესვებს მუშების და რუხ შინელებში გადაცმულ გლეხების ფართო მასებში.

4. უშუალოთ თებერვლის რევოლიუციის დასაწყისში იმპერიალისტურ ომის 3-ე წელი საწარმოვო ძალთა მდგომარეობის და თანამედროვე ომის მოთხოვნილებათა შორის არსებულ შეუსაბამობის გამო რუსეთის ეკონომიურ სრულ დაშლას იწვევს.

1917 წლის დასაწყისი აღსანიშნავია: საწარმოვო შრომის სრული გამოფიტვით, წარმოების საერთოთ და განსაკუთრებით ტრანსპორტის დეზორგანიზაციით, გაკოტრების პირას მიმდგარი სახელმწიფოებრივი ფინანსებით და, როგორც ამის შედეგი, გამწვავებული სასურსათო კრიზისით (რომელიც პეტროგრადში თებერვალში სიმშილობამდე მივიდა), სათბობი მასალის ნაკლულოვანებით, უმუშევრობით, მუშათა კლასის და გლეხობის გაღატაკებით და სხვ.

5. ამ ეკონომიურ ნგრევის ფონზე გამოსჩანს მემამულეთა კლასის და ბურჟუაზიის შორის არსებულ კავშირის დაშლა, რომელიც წარმოიშვა ომის დასაწყისში „დიდი რუსეთის" შექმნის საერთო ინტერესების ნიადაგზე. ცარიზმი სრულიად გამოუსადეგარი იარაღი ხდება იმ დაპყრობითი მიზნებისათვის, რომელიც დაისახა საფრანგეთ-ინგლისის ფინანსიურმა კაპიტალმა და მისმა პირმშო შვილმა რუსეთის იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ. აქედან გამომდინარეობს რუსეთის ბურჟუაზიულ წრეების უკმაყოფილება, ცარიზმის დახმარებაზე უარის თქმა საზღვარგარეთის კაპიტალის მხრივ და 1916 წლის შემოდგომის ყველა ლიბერალური ლოზუნგები.

6. 1917 წლის თებერვალში კლასიური წინააღმდეგობა ძალიან მწვავდება. გამწვავებული სასურსათო კრიზისი, რომელიც პეტროგრადში სიმშილობამდე მივიდა, გაძლიერებული უმუშევრობა ერეკება მუშათა მასებს ქუჩებში—პურის, ზავის და თვითმპყრობელობის ჩამოგდების ლოზუნგების ქვეშ და მათ უერთებს თავის მოთხოვნილებას—მიწაზე რუხ შინელებში გადაცმული გლეხთა აჯანყებული არმია.

გონება დაკარგული ბურჟუაზიის ლიბერალური წრეები სცდილობენ შეაკავონ მუშები და არმია აშკარა გამოსვლებისაგან, ჯერ აყენებენ რა მოთხოვნილებას საზოგადოებრივ ნდობის სამინისტროს შედგენის შესახებ და შემდეგ კი სცდილობენ დაიცვან მონარქიზმი ნიკოლოზის მიხეილით შეცვლით.

მაგრამ მუშათა კლასმა, მოაწყო რა თავისი რევოლიუციონური ორგანიზაციები—მუშათა დეპუტატების საბჭოები, რომელთაც მხარს უჭერდა არმია ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სახით, ამ შემთხვევაში საკმაოთ ძლიერად გრძნობს თავს თვითმპყრობელობის დასამხობათ, მაგრამ ამავე დროს არ ძალუძს ხელში ძალაუფლების ჩაგდება.

7. ცარიზმის დამხობის შემდეგ ძალაუფლება გადადის ლიბერალურ—იმპერიალისტურ ბურჟუაზიის ხელში, რომელიც არის ერთად ერთი დარაზმული პოლიტიკური ძალა. ცარიზმის დამხობაში მონაწილე მუშათა კლასი გამოდის ისტორიულ ასპარეზზე ხელმძღვანელ და ძლიერ **რევოლიუციონურ** ორგანიზაციას მოკლებული კიდევ უფრო ნაკლებათ დარაზმულია ამ დროს სტიქიურ რევოლიუციონური გლეხობა და არმია.

რევოლიუციონურ დემოკრატიის წინამძღოლებათ გამოდიან ოპორტუნისტ-შემთანხმებელნი მენშევიკები და ესერები, რომელნიც არიან მუშათა კლასის და გლეხობის წრეში ბურჟუაზიული ზეგავლენის გამტარებელნი. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ თებერვალ-მარტის რევოლიუცია მიმდინარეობს ბურჟუაზიულ რევოლიუციის საერთო-ნაციონალურ ლოზუნგების კლასთა შორის დაძმობილების დროშის ქვეშ. სამოქალაქო მშვიდობიანობის მოჩვენებას ფარავდა შეუწყვეტელი კლასთა ბრძოლა, რომელიც ამიერიდან თავის განვითარების ახალ ფაზაში მოექცა.

8. თებერვლის რევოლიუციის აზრს პროლეტარიატი და გლეხობა ხედავდა არა „მცირე რევოლიუციის" იმ ლოზუნგებში, რომელსაც აყენებდენ ლიბერალურ-იმპერიალისტური ბურჟუაზია და მისი დამქაშები მენშევიკები და ესერები. უკანასკნელთათვის რუსეთის რევოლიუცია იყო უპირველეს ყოვლისა ბურჟუაზიული რევოლიუცია.

მუშათა კლასს და გლეხობას, რომელნიც დაირაზმენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში, აუცილებლად უნდა მიეღოთ ზომები იმპერიალისტურ სისხლის ღვრის შესაწყვეტად, ბურჟუაზიის უსაზღვრო მადის და სურვილების ასალაგმავად, და გლეხობისათვის მემამულეების მიწების გადასაცემათ.

ამგვარად საერთო ნაციონალურ დაძმობილებას და რეალურ სინამდვილეს შორის აშკარა შეუსაბამობა არსებობდა, რამაც სულ ცოტა ხნის შემდეგ იჩინა თავი. და მხოლოდ რუსეთის მცხოვრებთა უმრავლესობის წვრილ ბურჟუაზიულმა სულისკვეთებამ და შემთანხმებელ პარტიების მენშევიკების და ესერების ბატონობამ რამდენიმე ხნით შესძლო შეურიგებელ კლასთა ბრძოლის ლოზუნგები შეეცვალა სამოქალაქო მშვიდობიანობის, მუშების კაპიტალისტებთან და გლეხების მემამულეებთან შეთანხმების ლოზუნგებით. და თებერვლის და ოქტომბრის რევოლიუციის შორის განვლილ 8 თვეს, ერთი ბურჟუაზიული მთავრობის მეორე მთავრობით განუწყვეტელი შეცვლით უნდა დაემტკიცებია მუშათა კლასისა და ღარიბ გლეხობისათვის, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკის უსრულესი ფორმაც კი არის მხოლოდ იარაღი ბურჟუაზიის ამა თუ იმ წრის ხელში, იარაღი, რომელიც მიმართულია მუშათა კლასის წინააღმდეგ.

9. ამ რვა თვის განმავლობაში კლასთა მშვიდობიან თანამშრომლობის ილუზიებიდან, ფრონტზე ივნისის შემოტევის, პეტროგრადში ივლისის დღეების, იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურის, კერენსკის დემოკრატიულ მთავრობის, ინტერნაციონალურ პროლეტარიატის ძალადობის, მემამულეთა მიწების მიღების მოლოდინში მყოფ გლეხების უფრო და უფრო გაძლიერებულ მღელვარებას, „კორნილოვშჩინის და კალედინშჩინის", „ომი სრულ გამარჯვებამდე"—ლოზუნგების წამოყენების შემდეგ—მუშათა და ღარიბ გლეხთა ფართო მასები ოქტომბრის დღეებში საჭიროთ სთვლიან სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების თავის ხელში ჩაგდებას, რათა საერთაშორისო პროლეტარიატთან ხელი-ხელ ჩაკიდებულმა მიმართოს ეს ძალაუფლება საზოგადოების სოციალისტურად მოწყობისაკენ.

საქ. კომპ. ტფილ. კომიტ. სააგიტ. საპროპ. განყოფილება.

პატარა ფელეტონი

კერძო ბარათი ნაცნობს

(პოლიტიკური აურ-ზაურის გავლენის ქვეშ)

შენ დამპატიჟე იმ დღეს სადილად
და მომელოდი, როგორც ომს—ლიტვა.
დრო ვერ ვიხელთე ისე ადვილათ,
და არც გავსტეხე მე ჩემი სიტყვა...

გეწვიე. იყო საღამო ბორჯი,
და ვახშმის შემდეგ მომართვი ბლინი,
ერბო მოსმული, ვით ლლოიდ-ჯორჯი,
და ნოყიერი, ვით მუსსოლინი.

თან მიმზიდველი, როგორც სტინესი,
და თან მსუქანი, ვითარცა ფაქტა,
შემზადებული, ვით ითხოვს წესი:
არც წვა, არც ცხობა რომ აღარ აკლდა.

დანაყრებული თუმც ვიყავ, მაგრამ
ბლინები შენი მაინც ვიხარბე,
არ მიღალატა მე დიდხანს მადამ,
ჭამაში კიდეც გადავაჭარბე.

ვიგრძენი მხოლოდ შუა ღამისას
და ზედ ავმხედრდი, ვით პუანკარე,
სხვას ბევრს არ გეტყვი ჩემი დრამისას,
ტკბილი ვახშამი რომ ჩავიმწარე...

რათ მომაგონდა ამ წუთს ბერლინი
და მასში კიდევ კანცლერი კუნო?
ნავახშმევს ეხლაც რომ მომცეს ბლინი,
ვეჭვობ, საჭმელად ის დავიწუნო!

ასე ხარბია კაცის ბუნება,
გაუმაძღარი, როგორც ლონდონი,
და პარიზს რისთვის გაემტყუნება,
გახდეს ბერლინის ტორეადორი?!..

ონისიმე.

სახ.-ლხო კომისართა საბჭოში.

— **სატარიფო კამ რა.** საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სატარიფო კამერის დებულების პროექტი, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდება.

— **პირდაპირი მავთულით სარგებლობა.** ამავე სხდომაზე სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა დადგენილების პროექტი პირდაპირი სატელეგრაფო მავთულით სარგებლობის შესახებ.

— **გადასახადის მოხსნა.** სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ამიერიდან მოხსნილია ზედმეტი გადასახადი საფოსტო მარკებზე—დამშეულთა სასარგებლოდ შემოღებული.

მიწად მოქმედების კომისარიატში.

— **მეაბრეშუმეთა ყრილობა.** 16 მარტს ტფილისში გაიხსნება ამიერ კავკასიის მეაბრეშუმეთა ყრილობა. ყრილობაზე მოწვეულნი არიან წარმომადგენლები: აზერბეიჯანის საბრეშუმო სადგურის, საქართველოს მიწად-მოქმედების და სასურსათო კომისარიატების, სომხეთის მიწად-მოქმედების კომისარიატის, თურქესტანის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს და საბრეშუმო სადგურის, მოსკოვის საფეიქრო სინდიკატის, რუსეთის ს. ს. რ. შინაგან საქმეთა კომისარიატის და სხვა.

ქალაქის აღმასკომში

— **სახურსათო განყოფილების შუამდგომლობა.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა უარი ეთქვას სასურსათო განყოფილებას წისქვილის გადაცემაზე, და დარჩეს ისევ კომუნალურ განყოფილების ხელში. ხოლო სასურსათო განყოფილებას დაევალოს წისქვილებიდან საღალოგადასახადის შეკრება როგორც მაზრაში ისე ქალაქში, რისთვისაც ნება მიეცეს აიყვანოს ერთი ინსტრუქტორი. მასვე დაევალოს დაამზადოს მომავალ ზამთრის სეზონისათვის აღმასკომის და მისი განყოფილების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ შეშა და ხის ნახშირი. ამავე განყოფილებას ნება მიეცეს რძის პროდუქტების დამზადების და ამისათვის შეუდგეს საჭირო მუშაობას.

— **იჯარით გაცემა.** მცირე პრეზიდიუმმა ნება დართო საადგილ-მამულო განყოფილებას გასცეს იჯარით ალექსანდრეს სახელობის ბაღში ცარიელი მოედანი სპორტ-კლუბისათვის, 10 მან. ოქროთი წლიურად სამი წლის ვადით.

— **ყოფილ ცნობათა ბიუროს ბინის იჯარით გაცემა.** პრეზიდიუმმა დაადგინა გაცემული იქნეს იჯარით ყოფ. ცნობათა ბიუროს ბინა შეჯიბრებით, ხოლო უპირატესობა შეჯიბრების დროს მიეცეს ყოფილ მოიჯარადრეებს.

— **ვადის გაგრძელება.** ამავე სხდომაზე მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა, ყოფ. კატორღელთა და პოლიტიკურ გადასახლებულთა საზოგადოების განცხადება, დაკმაყოფილებული იქნეს ამავე საზოგადოების ბინის უსასყიდლოთ სარგებლობის ვადის გაგრძელების შესახებ.

— **საქონლის საკვების შეძენა.** მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა მიეცეს საადგილ-მამულო განყოფილებას 272,000000 ქალაქის მამულებში მყოფ საქონლის საკვების შესაძენათ 500,000,000 მან. მათთვის სათბურების მოსაწყობად.

— **ვერის ხიდის გახსნა.** შეკეთების შემდეგ გუშინ გაიხსნა ვერის ხიდი.

განათლების კომისარიატში.

— **ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი.** საქართველოს სახ. განათლების კომისარიატმა დაადგინა მოაწყოს ფიზიკური კაბინეტი და ბიბლიოთეკა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. ხსენებულ დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ არჩეულ იქნა სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია. კომისარიატის დადგენილებით აგრეთვე უნივერსიტეტს გადაეცემა კომ. პარტიის ცნობილ ლიდერთა ბიუსტები და პორტრეტები.

პოლიტ. განათლების მთავარ სამმართველოში.

— **პროლეტარულ პოეტების ანთოლოგია.** პოლიტ. განათლების მთავარ მართველობა შეუდგა პროლეტარული პოეზიის ანთოლოგიის გამოცემას. წიგნში შეტანილი იქნებიან საქართველოს პროლეტარული პოეტები.

— **რევოლიუციონური თეატრი.** პოლიტ. განათლების მთავარ-მმართველობის სარეპერტუარო კომისიამ გამოიმუშავა რეპერტუარი რევ. თეატრებისათვის. ჯერჯერობით მიღებულ იქნა შემდეგი პიესები დასადგმათ: „წითელი ღენერალი", „მექსიკანელი", „პარიზის კომუნის აპოთეოზი", „რვა მარტი", „პირველი მერცხლები" და სხ.

ა. კ. შრომის კომისარიატის რწმუნ. სამმართველოში.

ზუგდიდი.

— **უმუშევართა რიცხვი** 1 იანვრისათვის აღრიცხვაზე იყო 44 უმუშევარი—14 ქალი და 30 კაცი. სამუშაოზე გაიგზავნა 7 უმუშევარი 2 ქალი და 5 კაცი. 1 თებერვლისთვის აღრიცხვაზე დარჩა 37 უმუშ. 12 ქალი და 25 კაცი. კონფლიქტებს ადგილი არ ქონია.

— **ხარკის წესით** ამავე ხნის განმავლობაში ხარკის წესით კომუნალურ განყოფილებას მიეცა 6 მუშა და 7 მტვირთმზიდავი. სამხედრო კომისარიატს ამდენივე.

— **დახმარება.** პენსიონერებს, ინვალიდებს და ღარიბებს იანვრის განმავლობაში დახმარება არ მისცემიათ, რადგან ცენტრიდან განყოფილებას არ მიუღია სათანადო თანხა, საჭიროა მისი დაჩქარებით გადმოგზავნა.

რკინის გზაზე.

— **ამხ. ხუბოვის დანიშვნა.** თბილისის რკ. გზელთა საუბნო პროფკავშირის კულტ-განყოფილების ყოფილი გამგე ა. რ. ხუბოვი დანიშნულია ა. კ. რკ. გზების პროფ-განათლების უფროსის თანაშემწედ.

— **ა. კ. გზების უფროსის მივლინება.** ა. კ. რკ. გზ. უფროსის სასამსახურო საქმეებისათვის ქ. მოსკოვში გამგზავრების გამო, გზათა სახ. კომ. რწმუნებულის მოვალეობის ასრულება დაეკისრა გ. ს. კ. რწმუნებულის მოადგილეს მოვალეობათა დროებით აღმსრულებელს ა. ა. კორჩაგინს, ხოლო გზების უფროსის მოვალეობა კი უკანასკნელის მოადგილე ს. ა. ლედერს.

— **ინჟ. ოდიშელიძის დანიშვნა.** ინჟ. ა. ე. ოდიშელიძე დანიშნულია გზების უფროსთან მინდობილობათა ინჟენერსს მოვალეობის დროებით აღმასრულებლად.

სხვ და სხვ

კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშაკთა სახლში** ორშაბათს, 12 მარტს, საღამოს 6 ნახ. საათ. წაიკითხავს მოხსენებას სოციალ. აღზრდის მთავარ. მმართველობის ინსტრუქტორი ა. ნადირაია შემდეგ თემაზე: „აღზრდის იდეა შრომის ნიადაგზე პედაგოგიკის ისტორიაში".

— სამშაბათს, 13 მარტს, საღამოს 7 ს. წაიკითხავს საჯარო ლექციას სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიურ კათედრის ასისტენტი გეოლოგი კოდრატე თათარაშვილი შემდეგ თემაზე: „ქვეყნის გაჩენა გეოლოგიის თვალსაზრისით და მისი შემადგენლობა; ტფილისი და მისი მიდამოები უთვალავ საუკუნეთა განმავლობაში".

დღეს 9 მარტს, საღამოს 7 ნახ. საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში დანიშნულია სხდომა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა. მომხსენებელია პროფ. ბ. ღოღობერიძე: ჩანასახის გლიკოგენით გამოკვება.

— **ლექცია „ლითონების დაღლილობის" შესახებ.** კვირას, 11 მარტს დღის 12 საათზე პროფესორი ქ. ს. ზავრიევი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ლითონების დაღლილობა", ფიზიკურ აუდიტორიაში, (წრის ყოფ. შენობა, ზემო-სართული) შესვლა ყველასათვის უფასოა.

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება

ამხ. მუშებს.

კითხვა: რითი განისაზღვრება დაქირავებულთა შრომის ხელფასის რაოდენობა?

პასუხი: კოლექტიური და შრომის ხელშეკრულებებით.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა ხელფასის რაოდენობა იყოს ნაკლები გასამსჯელოს სავალდებულო მინიმუმისა, რომელიც არის დაწესებული სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ, თანახმად შრომის კატეგორიებისა?

პასუხი: არ შეიძლება.

კითხვა: რანაირად განისაზღვრება შრომის ხელფასი?

პასუხი: ხელფასი განისაზღვრება ხელშეკრულების პირობებით დანიშნულ ვადის ანუ დროებითი სამუშაოს მიხედვით ან და ნორმალურ სამუშაოში განსაკუთრებულ შეთანხმებით ორივ მხრივ.

კითხვა: როგორ წესდება ზედმეტი მუშაობის ხელფასის რაოდენობა?

პასუხი: ზედმეტი მუშაობის ხელფასი უნდა იყოს განსაკუთრებით აღნიშნული და მოხსენებული ხელშეკრულებაში, ამასთანავე უნდა იყოს მიღებული შემდეგი რაოდენობით—პირველ ორ საათის მუშაობის თითეულ საათში მომუშავეს უნდა მიეცეს არა ნაკლებ ერთ ნახევარ ჩვეულებრივ ხელფასისა იმავე ერთი საათის განმავლობაში, შემდეგ საათებისა კი ეძლევა ყოველ საათზე ორჯერ-მეტი ჩვეულებრივ ხელფასისა; აღნიშნულ რაოდენობით უნდა მიეცეს მომუშავეთ აგრეთვე დასასვენებელ და უქმი დღეებში მუშაობისათვის.

კითხვა: რა რაოდენობით ეძლევათ სამუშაო ქირა მოზარდებს შემოკლებულ სამუშაო დღეში?

პასუხი: ეძლევათ სრული სამუშაო დღის ხელფასის თანახმად განსაზღვრულ კატეგორიებისა.

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო.

მუშა ფეიქრელები და წითელ-არმიელები

მიმდინარე წლის 24 თებერვალს დღის 2—საათზე აღნიშნულ ქარხნის მუშები (150 კაცისაგან შემდგარი) იყვნენ მიწვეულნი ქართულ ცხენოსან დივიზიონში, სადაც იქნა გამართული დიდი მიტინგი. მიტინგზე ილაპარაკეს ბევრმა ორატორებმა დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ მიტინგის შემდეგ წითელ არმიელები და მუშები ერთად სადილობენ; სადილის დროს იყო დიდი სიმხიარულე: იყო მილოცვები ერთმანეთშორის. სადილის შემდეგ ყაზარმების ეზოში გაიმართა ცხენების ვარჯიშობა. საღამოს დივიზიონის მიერ დადგმულ იქნა უფასო წარმოდგენა მუშებისა და წითელ არმიელებისათვის. წარმოდგენა გათავდა ღამის 12 საათზე. მუშები და წითელ არმიელები წარმოდგენით დიდათ კმაყოფილი დარჩენ. 25 თებერვალს ყველა მუშები უკლებლივ ესწრებიან დემონსტრაციას დილის 10 საათიდან მუშათა დემონსტრაციაში სუფევდა საუცხოვო დისციპლინა, წესრიგი და ერთსულოვნება, რამაც მისცა მას საშუალება დღესასწაული ღირსეულათ ჩაეტარებინა.

ინფ.—კორ. ხ. შ.

ქალაქის საავადმყოფოში

(ქალაქ. ალმასკომის საყურადღებოდ)

ჩვენი, ქალაქის საავადმყოფოს (ყოფ. არამიანცისა) მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. რამოდენჯერმე დავწერეთ „კომუნისტ"-ის „მუშათა ცხოვრება"-ში ჩვენი ცხოვრების ჭირვარამზე და დარწმუნებულიც ვიყავით, რომ ამის შემდეგ მაინც მოგვაქცევდენ ყურადღებას დაინტერესებული ორგანოები და შეძლების დაგვარად გაგვიწევდენ დახმარებას. მაგრამ ჩვენ და სამწუხაროდ, ყოველმა ჩვენმა ცდამ, თხოვნამ და იმედებმა სრულიად ამაოდ ჩაიარა.

ალარ ვიცით, ვის მივმართოთ და როგორ უშველოთ ჩვენს თავს. საქმე შემდეგშია: შრომის კანონები ჩვენთვის სრულებით არ არსებობს: გვამუშავებენ, როგორც უნდათ და რამდენ საათს უნდათ; ზედმეტი საათების, კვირა და უქმი დღეების ნამუშევრის გასამრჯელოს არავინ არ გვაძლევს. ორ და სამ თვის დაგვიანებით ვიღებთ ჯამაგირებს და ისიც კარგ შემთხვევებში, ხშირად კი ჯამაგირების მიღება უფრო მეტი ხნით გვიანდება.

მდაბალი მოსამსახურენი ჩვენი მუშებიც ხშირად საავადმყოფოს კანტორის კარებთან ატუზული ვდგევართ ჯამაგირების მიღების იმედით, მაგრამ ამაოდ და უშედეგოთ.

მასთან ჩვენ დღემდე ვერ მივვიღია სპეც-ტანისამოსიც, არც მისი საფასური, თუმცა ეს უკანასკნელი ჩვენ აუცილებლად უნდა მოგვცემოდა არსებულ შრომის კანონების ძალით.

ერთი სიტყვით, ხაზგასმით უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენზე თითქმის არავინ არ ზრუნავს იმ დაწესებულებიდან, რომელსაც ჩვენ ვექვემდებარებით.

ამიტომ კიდევ, განმეორებით, ვსთხოვთ ყველას, ვისაც ეს საკითხი ასე თუ ისე ეხება და ვისაც მისი მოგვარების სურვილიც, ცოდნაც და შეძლებაც აქვს, დაგვეხმაროს ჩვენი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

მოვითხოვთ მეტხ ყურადღებას ქალაქის ალმ. ჯამრთ-განყოფილებისაგან. ჩვენ, მუშა-მოსამსახურენი, რაც შეიძლება კეთილ სინდისიერად, მუყაითად და ნაყოფიერად ვმუშაობთ და სავსებით კანონიერად მიგვაჩნია, რომ მოვითხოვოთ ჩვენი ადმინისტრაციისაგან, რათა მანაც გამოიჩინოს ენერგია და უნარიანობა ჩვენი ჯამაგირით დაკმაყოფილებაში დანიშნულ დროზე, რაც სამუდამოთ მოსპობს ჩვენსა და მათ შორის ყოველივე უსიამოვნებას და გაუგებრობას, რასაც დღესდღეობით, სამწუხაროდ, აქვს აქ ადგილი.

მუშათა ჯგუფის დავალებით

ალ. ტაშვილი.

ეხლა რიგი ჩვენზეა

(ბრძოლა ჭლექის წინაალმდეგ)

ამიერ-კავკასიის რკინის-გზელ მუშებმა და თანამშრომლებმა დაიწყეს ბრძოლა ჭლექის წინააღმდეგ. დანიშნულია „სამი დღიური", რომლის განმავლობაში უნდა გაიმართოს რკინისგზელთა შორის ლექციები, საღამოები, წარმოდგენები და სხვა. წმინდა შემოსავალი გადადებულ იქნება ჭლექთან მუშების და მათი ოჯახის წევრების კურორტებში გასაგზავნად მომავალ ზაფხულში. რკინის გზელები ამ საკითხს ძალიან შეგნებულად შეხვდნენ და ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან მოდის დიდძალი შემოწირულება ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდის გასაძლიერებლად.

ჩვენც, სხვა დარგის მუშებმაც, უნდა შევიგნოთ რა დიდი და საშინელ ავადმყოფობას წარმოადგენს ჭლექი. ეს ავადმყოფობა აჭკნობს, ახმობს ადამიანის სხეულს, ფიზიკური და გონებრივი ძალებს, თვით პიროვნებას ხდის შურიანად, უნერგავს მას ადამიანისადმი და ცხოვრებისადმი სიძულვილს, უკარგავს შრომის უნარს და უდროვოდ, ახალგაზრდობაში, ასალმებს სიცოცხლეს. გარდა ამისა ეს სენი ძალიან გადამდებია; გადადის ჰაერის საშუალებით და ამიტომ თუ ერთი მუშა ჩვენ შორის იქნება ჭლექით ავადმყოფი, ის ძალაუნებურად შეიქნება ჩვენი ამავე სენით დაავადმყოფების წყარო.

ჩვენდა საუბედუროდ, არა ერთი და ორი მუშა ვართ ამ უბედური სენით ავადმყოფი. დიდი წილი ჭლექიანები ვართ და ეს იმის შედეგია, რომ ჩვენ გვიხდება მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც ძალაუნებურად ჰაერი მოწამლული გვაქვს სხვადასხვაგვარ მანქანების მოძრაობის გამო. თვით ნედლი მასალაც, მისი გადაკეთების დროს ძალიან აფუჭებს და სწამლავს ფაბრიკა-ქარხნების ჰაერს. აი, ამიტომ ადვილი ასახსნელია ის ფაქტი, რომ ეს ავადმყოფობა (ჭლექი) ჩვენი, მუშების, პროფესიონალური ავადმყოფობად გადაიქცა.

დროა, ამხ. მუშებო, შევებრძოლოთ მუშების ამ საშინელ მტერსაც, გაიმართოს ლექციები ფაბრიკა-ქარხნებში, დაინიშნოს „კვირეული", გაიმართოს წარმოდგენები, ამუშავდეს კინომატოგრაფები და მასთან ყოველ მუშას დაევალოს ყოველ-თვიურად გადასდოს 1 პროც. თავის ჯამაგირისა ჭლექთან საბრძოლველ თანხის გასაძლიერებლად.

მუშა—მეთამბაქოე.

სხვა და სხვა.

— **შაქარი ტფილისისათვის.** ტფილისში მოვიდა 22 ვაგონი შაქარი, შეძენილი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილების მიერ რუსეთის შაქრის ტრესტისაგან. შაქარი განაწილებული იქნება ტფილისის კოოპერატივებსა და სახ. დაწესებულებებში. ამ დღეებში მიღებული იქნება კიდევ 3 ვაგონი შაქარი.

პროფკავშირებში

ცირკულიარული წერილი

კავშირების ყველა ცენტრალურ სამმართველოებს, აჭარას, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის, პროფკავშირთა საბჭოებს სამაზრო პროფკავშირებს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს რწმუნებულებს და სამაზრო განყოფილებებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

შრომის ინსპექციის შემადგენლობის განახლების და გაჯანსაღების მიზნით საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო გაატაროს შრომის ინსპექტორების ხელახალი არჩევნები, როგორც ცენტრში. ისე პროვინციაში.

შრომის ინსპექტორების არჩევნები უნდა მოხდეს სათანადო პროფკავშირთა კონფერენციებსა და პლენუმების სხდომაზე. ამასთანავე მათი რწმუნებულების ვადა საქ. პროფკავშირთა საბჭოს მიერ განსაზღვრულია ერთი წლით.

შრომის ინსპექტორებათ არჩეული ამხანაგები უნდა დაამტკიცოს საქ. პროფკავშირთა საბჭომ და ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარის რწმუნებულმა და არ შეიძლება მოხსნილი ან გადაყვანილი იქნან თანამდებობიდან საქ. პროფკავშირთა საბჭოს და ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარის რწმუნებულის დაუკითხავად.

მუშათა კლასის ინტერესების უფრო უკეთ დასაცავად საქ. პროფკავშირთა საბჭო წინადადებას იძლევა შრომის ინსპექტორებათ დაასახელოთ უმთავრესად განვითარებული, მტკიცე და წარმოების მცოდნე მუშები.

შრომის ინსპექტორები, რომელთაც დაამტკიცეს თავისი ერთგულება და უნარი მუშათა მასების ინტერესების დაცვის საქმეში, შეიძლება ხელახლა იქნან არჩეულნი.

დასახელებულ კანდიდატების სიები შრომის დირექტორებათ არჩეულ პირთა პროფესიონალურ სტაჟის და პროფესიის აღნიშვნით უნდა წარედგინოს საქ. პროფკავშირთა საბჭოს დასამტკიცებლად.

ხელახალი არჩევნები უნდა დასრულდეს ტფილისში არა უგვიანეს 1 აპრილისა ხოლო პროვინციაში 1 მაისამდე.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს მდივანი—**ყურულაშვილი.**

ამიერ კავკასიის შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე—**მიქაძე.**

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი—**გუგუშვილი.**

ამხანაგებო, მუშებო და მოსამსახურეებო!

სრულიად-რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს უკანასკნელი პლენუმის და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, ა. წ. მარტში უნდა მოხდეს იმ პირთა საბიუჯეტო გამოკვლევა, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითად და ტიპიურ დარგებში.

ამხანაგებო, მომავალ საბიუჯეტო გამოკვლევას ეძლევა უაღრესად დიდი მნიშვნელობა მშრომელ მასებისათვის მით, რომ მისი მიზანია მუშების მატერიალური და კულტურული დონის ყოველ მხრივი შესწავლა და გარკვევა, სახელმწიფოს ეკონომიური და საზოგადოებრივ-სოციალური ცხოვრების ახალპირობებში.

ეს გამოკვლევა აგრეთვე საშუალებას მისცემს ხელმძღვანელ ორგანოებს სისწორით გაერკვენ სამუშაო ხელფასის საკითხებში, რათა სავსებით მიუდგენ ნამდვილ ბიუჯეტს და მშრომელი მასების ჭირ-ვარამს.

ამხანაგებო, მუშაობა საბიუჯეტო გამოკვლევისათვის ძლიერ ძნელი და სერიოზულია, ის დიდ ენერგიას მოითხოვს იმ ორგანოებისაგან, რომელთაც დაკისრებული აქვთ ამის გატარება, მაგრამ ამ მუშაობის ნაყოფიერება დამოკიდებულია უმეტესად თქვენგან. მომავალ გამოკვლევაში თვითეული მუშის აქტიური მონაწილეობის და ფართო დახმარების გარეშე, ცხადია შეუძლებელია, სასურველი შედეგების მიღწევა დამაკმაყოფილებელ ფაქტიურ მასალების მიღების მხრივ.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, საქართველოს პროფკავშირთა საბჭო მოგმართავს თქვენ მოწოდებით, რათა მომავალ საბიუჯეტო გამოკვლევას მოეპყრათ ღირსეული პროლეტარული შეგნებით და სერიოზულობით, გაუწიოთ ყოველგვარი დახმარება იმ მუშაკებს, რომლებიც მოწვეული არიან სპეციალურად ამ საქმისთვის და პასუხი მისცეთ ყველა კითხვებზე სისწორით, მოფიქრებულად და დამაკმაყოფილებლად.

გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ თვითეულმა მუშამ გარკვევით უნდა იცოდეს, რომ საბიუჯეტო გამოკვლევა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას მუშათა ცხოვრების შესწავლისათვის, რისთვისაც საჭიროა მოეპყრათ მომავალ საქმეს ნდობით და ერწმუნოთ თქვენს ხელმძღვანელ ორგანოს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავის მოწოდებაში და ერთი წუთითაც ეჭვი არ შეიტანოთ იმაში, რომ საბიუჯეტო გამოკვლევა სხვას არასფერს ისახავს მიზნად, მარტო ზემოდ დასახელებულ ამოცანებისა. გრწამდეთ, ამხანაგებო, რომ მუშაობა, საბიუჯეტო გამოკვლევისათვის თქვენი მუშაობაა და თქვენ გიწევს დახმარებას.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო.

პროვინციაში

ძირს რელიგია და სამღვდელოება გაუმარჯოს კომუნიზმს!

(სენაკის მაზრის მუშების და გლეხების ხმა)

სენაკის მაზრის მუშები და გლეხები მედგარ შეტევას აწარმოებენ წინაალმდეგ რელიგიის და ეკლესია—სამღვდელოებისა, რომელთაც ამ მხარეში სრულებით გამოეცალა ყოველგვარი ნიადაგი. მებრძოლი გლეხკაცობა ყველასათვის გასაგონრად ხმამაღლა გაიძახის: ძირს სამღვდელოება, რომელიც მუდამ გვაძრობდა ტყავს და გვიბნელებდა გონებას, გაუმარჯოს შრომას, კულტურა-განათლებას, გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

მუშები და გლეხები თავიდან იყვნენ განწყობილნი რელიგიის და სამღვდელოების წინაალმდეგ; ისინი მხოლოდ უცდიდენ ისეთ დროს, როდესაც მათ საბჭოთა მთავრობა მისცემდა შესაძლებლობას ამ კერპების ჩამოგდებისთვის.

ა. წ. 27 თებერვალს ქ. ახალ-სენაკში მომხარი ამბავი ეკლესიის გარშემო სწორედ კალამით აუწერელია.

მიტინგზე მოწვეულნი იყვნენ. ა) მწარმოებელთა პროფესიონალურ კავშირის ყველა წევრები, ბ) ქალაქის ყველა მუშები, გ) თეკლათის თემას მცხოვრები გლეხ-კაცობა, დ) ყველა პარტამხანაგები და ახ. კომკავშირის წევრები, ე) ყველა ტიპის სკოლების მოწაფეობა და სამხედრო პირნი.

მიტინგზე ყველა გამოცხადდა.

მიტინგი გახსნა თავისუფლების მოედანზე ამხ. ვ. ჩაკვეტაძემ, რომელმაც მოკლედ გააცნო კრებას, თუ რა დიდი საქმე უნდა გაკეთებულიყო ამ დღეს.

სიტყვა ეძლევა ამხ. სამსონ მამულიას. ამხანაგის მოხსენებამ უსაზღვრო აღტაცება და დაუსრულებელი ტაშის კვრა გამოიწვია გლეხებში; იგრიალა ხმამ: ძირს სამღვდელოება! რევოლიუციონურად განწყობილმა მიტინგმა უკლებლივ გაწია ქალაქის ეკლესიაზე იერიშის მისატანად.

არასდროს, არსად არ გვინახავს ისეთის სიძლიერით გატაცება, გახარება, ისეთი რევოლიუციონური მისწრაფების გამოხატვა, რასაც ადგილი ჰქონდა ქ. სენაკში გლეხების და მუშების მიერ ადგილობრივი ეკლესიის აღების დროს. ხალხი შევიდა ეკლესიაში, საიდანაც გამოტანილ იქნა ხატები, სურათები, ბარძიმ-ფეშხუმი და სხვა „წმინდა" ნივთები. ნაწილი მუშებისა ავიდა ეკლესიის სახურავზე, საიდანაც ამოგლეჯილ იქნა „ყოვლის შემძლე ჯვარი" და მის ადგილას აღმართული წითელი ხუთ-წვეტიანი ვარსკლავი ელექტრონული სანათით.

მოხსენებებით გამოდიან ამხ. ამხ. ვასო ქობულია და ვ. ვაშაყმაძე, რომელთაც „ვაშას" ძახილით და ტაშის კვრით რამოდენიმეჯერ შეაწყვეტიეს სიტყვები.

შემდეგ გამოდის სიტყვით მუშათა სახელით ამხ. სანდრო თურქია, რომელმაც მუშური ენით ნათლად დაუხატა დამსწრეთ ის „საიდუმლოებანი" და გახრწნილებანი, რომელთაც ადგილი აქვთ სასულიერო პირთა ცხოვრებაში; ამხანაგმა ილაპარაკა აგრეთვე ღვთისა და რელიგიის წარმოშობაზე. ყველა ორატორები დაჯილდოებულნი იქნენ მხურვალე ტაშით. ყოფ. ეკლესიის ქვის კარგი შენობა ამიერიდან გამოცხადებულ იქნა ქ. ახ.-სენაკის მუშათა კლუბად.

ამ უკანასკნელ დღეებში მოხდა ეკლესიების გაუქმება და კლუბებად გადაქცევა (თვით გლეხების სათემო კრების მიერ) შემდეგ თემებში:

1. გეჯეთის თემში—ერთი ეკლესია.
2. ნაქალაქევის თემში—ორი ეკლესია.
3. ნაესაკოვის თემში—ყველა ეკლესიები.
4. სუჯუნის თემში—ყველა ეკლესიები.
5. ხორშის თემში—ექვსი (6) ეკლესია.

დანარჩენ თემებიდან ჯერ-ჯერობით ცნობები არ მიგვიღია.

ვ. ნადაუიშვილი.

ჩვენი ფოსტა

ბათომი. ამხ. სოლ—ტუს. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— შაბათს, 10 მარტს, საღამოს 5 საათზე ტფილისის კომიტეტის შენობაში შესდგება ტფილისის მაზრის საგანგებო დანიშნულების ნაწილის წრის კრება. ხელმძღვანელი ამხ გალკ ნი.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

— შაბათს, 10 მარტს, საღამოს 6 საათზე საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის შენობაში მე-4 რაიონულ კომიტეტთან იხსნება რაიონული პარტიული სკოლა.

უჯრედების მიერ სკოლისათვის გამოყოფილ ყველა ამხანაგებს წინადადება ეძლევათ პარასკევამდე, 9 მარტამდე გამოცხადდენ რაიკომში რეგისტრაციაზე სათანადო მოწმობების მისაღებათ.

პას. მგ. მდივნის მაგ. არუსტანოვი.

— საქ. კომ. პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს მე-4 რაიონულ ორგანიზაციის წევრებს სამი დღის განმავლობაში დაწყებული 8 მარტიდან 10 მარტამდე ჩათვლით დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე, გამოცხადდენ რაიკომში რეგისტრაციისთვის № 1 ფორმის ანკეტის შესავსებათ და პარტიულ ბილეთების მისაღებათ. საჭირო არ არის პარტიის იმ წევრთა გამოცხადება, რომელთაც მიღებული აქვთ პარტიული ბილეთები და შევსებული აქვთ ხსენებულ ფორმის ანკეტები. ის წევრები კი, რომელთაც მიღებული აქვთ პარტიული ბილეთები, მაგრამ არ შეუვსიათ ხსენებულ ფორმის ანკეტები, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ რეგისტრაციაზე პარტიის ყველა წევრები და კანდიდატები, რომლებიც არ გამოცხადდებიან ნაჩვენებ ვადებში მოხსნილი იქნებიან აღრიცხვიდან და ყველა მათი საქმეებ გადაგზავნილი იქნება ტფილისის კომიტეტში.

რაიკომის მდივანის მაგ. ხაცკევიჩი.

სააღრიცხვო ნაწილის გამგე ბელსკი.

— საქ კომ. პარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. სატენიკა არტემის ასულს გორდ ძეს გამოცხადდეს თბილისის კომიტეტში დაკარგულ პარტიულ ბილეთის № 21581 მისაღებათ.

თბილისის კომიტეტის მდივანის მაგ. რუბენი.

პროფესიონალური

— კვირას, 11 მარტს, დღის 11 საათზე. „განათლების მუშაკთა სახლში" შესდგება განათლების მუშაკთა კავშირის კომუნისტ-წევრების საზოგადო კრება. ყველა ამხანაგების დასწრება პარტიულ დისციპლინის წესით სავალდებულოა.

კომფრაქციის მდივანი შავერდოვა.

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ც

განცხადებები

ღრმათ დამწუხრებული და გულდათუთქული მშობლები პლატონ დარისპანის-ძე ლეჟავა და მეუღლე მისი, მელხან გედეონის ასული აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს თავიანთ უსაყვარლესი შვილის

ალეკოს

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათზე. გასვენება შაბათს, 10 მარტს, ნაშუადღევის 4 ს. საუფლისწულო (უდელის) ქუჩა № 20.

ამ წლის 5 მარტს, ცოტახნის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ლევან ნიკოლოზის-ძე ჟორდანია

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდამწვარი მეუღლე—მარიამ არტემის ასული და ძმა—მიხეილ ნიკოლოზის-ძე ჟორდანიები. გამოსვენება შაბათს, 10 მარტს, პირველ საგუბერნიო ციხიდამ (ორთაჭალა); დასაფლავება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

297—1—1

სახელმწიფო ოპერა

კრ. 243—1—1

დღეს, 9 მარტს,

მშვენიერი ელენე

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

აღმასკომის კომუნალ. წყალსადენის განყოფილება

აცნობებს ყველა აბონენტებს, რომ 5 მარტიდან ზევითა ქალაქის რაიონებისათვის არის რაიონული წყლის მიწოდება.

1. ღამის 11 საათიდან დღის 3 საათამდე წყალი ეძლევა მტკვრის მარჯვენა მხარეს.
2. დღის 3 საათიდან ღამის 11 საათამდე წყალი ეძლევა მტკვრის მარცხენა მხარეს.

კომუნხოზის თავმჯდომარე **ხ. ულენტი.**

(კრ. 245 1—1) წყალსადენის საქმის მწარმოებელი **ნ. ქვირიშიანი.**

ქალ. ტფილისში და მის მაზრაში მცხოვრებ ექიმთა საყურადღებოდ.

ყველა ექიმები, როგორც სამსახურში მყოფნი, აგრეთვე კერძო პრაქტიკის მქონენი, ვალდებულნი არიან ყოველივე გადამდებ ავადმყოფობის შემთხვევის შესახებ აცნობოთ დაუყონებლივ ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილებაში (ველიამინოვის ქ. № 3, ტელეფონი № 9-12).

აგრეთვე ვთხოვ ექიმებს მოგვაწოდონ ცნობები მალიარიით ყოველივე დაავადებულთა შესახებ, ყოველივე კვირის დამლევს.

ექიმები, რომლებიც არ შეასრულებენ ზემოაღნიშნულს მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში.

სათანადო ბარათების მიღება შეიძლება ტფ. ჯანმრთელობის განყოფილებაში.

ტფ. და მისი მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ ეპიდემიის ნაწილის გამგე **მგელაძე.** (კრ. 246 3—1)

თანახმად ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებულის ბრძანებისა № 18,

დათხოვნილია სამსახურიდან ამა წლის 15 თებერვლიდან, სასინჯო პალატის მსინჯველი **გრიგოლ მალაზონია,**

როგორც არა ხაიმედო პიროვნება და ყოველი მანდატი მის სახელზე გაცემული გაუქმებულათ ითვლება.

ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქარ. საქმეთა მმართველი **გ ელიხაბედაშვილი.**

სასინჯო პალატის გამგე **ა. ნიშნიანიძე.**

კრ. 233—1—1

დოკტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. მებრაგიანცი

შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჭლექი და გულის—სპეციალური წამლობა მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი.

იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 23 (264—25—2)

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი

მედიცინის დოქტორის

ვ. ვ. შენგელიძესი და ექიმი ვ. გ. მეუნარგიასი

მიიღებიან ბავშვები **ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.**

ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბელინსკის ქ № 22 ტელეფ. 1—44. (77—25—24)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (233—25—5)

ქ. თბილისის 1 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს სასამართლოში არსენ მიხეილის ძე შახგულდოვს, როგორც მოპასუ- ხეს ეფროსინე ალავერდის ასული შახგულდოვთან და აფრთხილებს მას რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა არ გამოც- ხადება დანიშნულ იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

1-ლი რაიონის სახალხო სასამართლო იმყოფება სასამართლოს ქუჩაზე № 32. 285—1—1

დაჰკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სტუდ. ნადეჟდა ლავრენტის ასული ფერაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 282—1—

დაჰკარგე პირადობის მოწმობა ბაბილო სამსონის ასული გეგეჭკორის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (290—1—1)

დაჰკარგე ორი ცალი ბაშპორთები იოსებ ქიტელას ძე მჭედლიშვილი და ანეტა მიხეილის ასული მჭედლიშვილი. ჩაითვალოს გაუქმებულად. (281—1—1)

დაჰკარგე სამაზრო სამხედრო კომისარიატის მიერ გრიგოლ გვრიტიშვილის სახელზე გაცემული სარეგისტრაციო ბარათი № 1823, ჩაითვალოს გაუქმებულად. (267—1—1)

დაჰკარგე მე-ნ-ე კომისარიატის მიერ სოფიო სიდამონიძის სახელზე გაცემული 3 თვიანი პასპორტი, ჩაითვალოს გაუქმებულად. (268—2—1)

დაჰკარგე ბათომის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ზ ლიჩმანის სახელზე გაცემული პასპორტი, ჩაითვალოს გაუქმებულად. (270—1—1)

დაჰკარგე ბაგრატა ხოჯაიანცის სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა და შრომის ბირჟის წიგნაკი, ჩაითვალოს გაუქმებულად. (273—1—1)

დაჰკარგე ბოგდან კაჩარიანის სახელზე გაცემული პარტიული ბილეთი № 1864, ჩაითვალოს გაუქმებულად. (273—1—1)

დაჰკარგე უმუშევარ შოფერის ივანე რომანოვის სახელზე გაცემული შრომის ბირჟის წიგნაკი № 127, ჩაითვალოს გაუქმებულად. (272—1—1)

დაჰკარგე ხის დამმუშავებელთა კავშირის მიერ ალექსი ა პეტროვის სახელზე გაცემული საწევრო წიგნ № 469, ჩაითვალოს გაუქმებულად. (274—1—1)

დაჰკარგე ნუხინის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ანა ნ სესოვას სახელზე გაცემული პასპორტი, ჩაითვალოს გაუქმებულად. (269—1—1)

დაჰკარგე ყოფ. თბილისის პოლიციის მიერ სოფიო ფილ ასულის კესარევას სახელზე გაცემული უვადო პასპორტი № 4575, ჩაითვალოს გაუქმებულად. (276—2—1)

დაჰკარგე სადიკ სუხოვის სახელზე გაცემული პასპორტი, ჩაითვალოს გაუქმებულად. (279—1—1)

დაჰკარგე ლიუბოვ სიმონის ასულის აბრამოვიჩის სახელზე გაცემული პასპორტი, ჩაითვალოს გაუქმებულად. (284—1—1)

დაჰკარგე სათბობ მასალათა განყოფილების მიერ ქაჯაი სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა № 307 ჩაითვალოს გაუქმებულად. (286—1—1)

დაჰკარგე მედიკო სანიტარულ შრომის მუშაკთა პროფკავშირის მიერ სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის საკურორტო სამმართველოს მთავარ ბუხგალტერის იოსებ არჩილის ცირგილაძის სახელზე გაცემული საწევრო წიგნაკი № 697, ჩაითვალოს გაუქმებულად. (288—1—1)

დაჰკარგე მედიკო-სანიტარულ შრომის მუშაკთა პროფკავშირის მიერ ნინა მიხეილის ასულის ლივშინას სახელზე გაცემული საწევრო წიგნაკი, ჩაითვალოს გაუქმებულად. 287—1—

დაჰკარგე ზოია ლიჩმანის სახელზე გაცემული პასპორტი, ჩაითვალოს გაუქმებულად. (283—1—1)

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. ს. რ. საკავშირო საბჭოს

1922 წ. 22 ნოემბ. № 60 დადგენილების აღსასრულებლად.

ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატი

ამით აცხადებს ამიერ-კავკასიის ყველა დაინტერესებულ სამეცნიერო დაწესებულების საყურადღებოდ ამიერ-კავკასიის იმ სამეცნიერო და სამოსწავლო დაწესებულებების სიას, რომელთაც უფლება ეძლევათ უბაჟოთ შემოიტანონ უცხოეთიდან სამეცნიერო და სამოსწავლო მიზნებისათვის საჭირო სამეცნიერო სახელმძღვანელოები, ხელსაწყოები და ინსტრუმენტები.

სია სამეცნიერო დაწესებულებების საბჭოთა საქართველოში:

1. ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, 2. სახელმწიფო უნივერსიტეტი, 3. ამხ. **ლენინის** სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, 4. სამხატვრო აკადემია, 5. პირველი კონსერვატორია, 6. მეორე კონსერვატორია, 7. სურათების ნაციონალური გალერეია, 8. საქართველოს საისტორიო-საეტნოგრაფიო საზოგადოება მუზეუმით, 9. ცენტრალური საპედაგოგო მუზეუმი, 10. რევოლიუციის მუზეუმი, 11. ქუთაისის საისტორიო-საეტნოგრაფიო მუზეუმი, 12. საქართველოს მუზეუმი და სახალხო წიგნთსაცავი, 13. საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია, 14. ცენტრალური აკადემიური წიგნთსაცავი, 15. სამეგრელოს მუზეუმი (ქალ. ზუგდიდი), 16. ცენტრალური სახელმწ. არქივი, 17. ტფილისის ბოტანიკური ბაღი, 18. ამიერ-კავკასიის წონის და ზომის პალატა.

აზერბეიჯანში:

1. აზ. სახელმწ. უნივერსიტეტი, 2. ამხ. აზიზბეკოვის სახელობის აზერ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, 3. ქალთა პედაგოგ. ინსტიტუტი, 4. სახელმწიფო წიგნთსაცავი, 5. სახელმწიფო ტეხნიკური წიგნთსაცავი, 6. სახელმწიფო მუზეუმი, 7. სახელმწიფო კონსერვატორია, 8. უმაღლესი სამხატვრო სკოლა, 9. ლათინური ალფავიტის შემოღების კომიტეტი.

სომხეთში:

1. ერევნის სახალხო უნივერსიტეტი, 2. სახელმწიფო სახალხო წიგნთსაცავი ერევანში.

I. ყველა ზემოდ დასახელებული სამეცნიერო დაწესებულებები და სასწავლებლები, რომელთაც სურთ გამოიწერონ უცხოეთიდან სამეცნიერო სახელმძღვანელოები, წიგნები, ინსტრუმენტები, ვალდებულნი არიან სათანადო განათლების სახალხო კომისარიატების მიერ შემოწმებული სიები გამოსაწერი საგნებისა წარმოადგინონ წინასწარ ამიერ-კავკასიის ფედ. ს. ს. რ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში მოწმობების მისაღებად.

II. იმ საგნებს, რომლებიც თავისუფალი არიან ბაჟისაგან საბაჟო ტარიფის 169 დებ. 1 მუხლის და 178 დებ. მე-2 მუხლის შენიშვნების თანახმად, შეადგენენ: წიგნები, ატლასები, გეოგრაფიული რუკები, ცხრილები, უკანასკნელების დასამუშავებელი მასალები, სამეცნიერო ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და აპარატები, ქიმიური რეაქტივები, ქიმიურ ლაბორატორიების ჭურჭლები და სათანადო საგნები, ფოტოგრაფიული სურათები (მათ შორის აპოზიტივებიც) სამეცნიერო შინაარსის კინოლენტები, ფოტოგრაფიული მასალები, სამეცნიერო კოლლექციები და სხვ.

III. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატების ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით იმ სამეცნიერო დაწესებულებების და სასწავლებლების სია, რომელთაც უფლება ეძლევათ შემოიტანონ უცხოეთიდან სამეცნიერო სახელმძღვანელოები, ხელსაწყოები და ინსტრუმენტები, საკავშირო საბჭოს დეკ. 22 № 60 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, შეიძლება მომავალში შევსებული და შეცვლილი იქნეს.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი: **ივანიანი.**

საბაჟო სამმართველოს უფროსი: **შირაქი.**

საქმეთა მმართველი: **გორჩაძოვი.**

კრ. 235 1—1

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტეინის ქ. № 4.